ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №35 (1736) 14 — 20 სექტემბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

რევაზ მიშველაძე:

ჩამოწეროს, ბარემ, პრეზიდენტმა ახალი პარლამენტის სია და დაგვანებოს თავი ...

არჩევნებში დასახარჯი მილიონები პენსია-ხელფასებად დაარიგოს

მე-2 გვერდი

გოგი სორდია:

ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც მოქკავშირისა და „აღორძინების“ შემდეგ გადალახავს შვიდ პროცენტიან ბარიერს...

მე-3 გვერდი

„ბალის დასრულებას საქართველოს საქმისუფლებასთან პირადად ვერ მოვალ“...



მე-7 გვერდი

„ელფეზრიანავმირმა“ შესაძლოა არჩევნებამდე „ფელფეზის“ სასაბართლოში უჩივლოს

რა ხდებოდა რკონის ხეობაში 1991 წლის აგვისტო-სექტემბერში?

მე-8 გვერდი

თენგიზ შარმანაშვილი:

70-იან წლებში საქართველოში ყველაზე მეტი „კორუმპირებული“ დახვრიტეს...

3

პატრიოტიზმის ქრძალული ხიბლი

მე-11 გვერდი

„ციმბირის წყლულის გავრცელება შეიძლება დიგერსიად ჩაითვალოს“

მე-2 გვერდი

ფიქრია ჩიხრაძე:

ეროვნულ ინტერესებზე საუბარი „ქაჯობა„ და „გოიმობა“ ჰგონიათ

მე-10 გვერდი

ზამთარში გლდანელებისა ვაკელებსაც კი შეშურდებათ

მე-6 გვერდი

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ-ახალი ამბები

რეპლიკა კომენტარებით

პრეზიდენტი - ამულეტი

საბერძნეთში მომხდარმა მიწისძვრამ მთელი ქვეყანა შეაზანზარა. შენობა-ნაგებობები დაინგრა და მიწასთან გასწორდა. საბერძნეთში მყოფი ჩვენი პრეზიდენტი ამას „მშვიდად“ შეხვდა. გაიკვირვებთ ალბათ, საბერძნეთში კი არა, საქართველოში იმყოფებოდა იმ დროსო, და მართალიც იქნებით. საბერძნეთში საქართველოს ელჩის, ალექსანდრე ჩიკვაიძის თქმით, პრეზიდენტ შევარდნაძის პორტრეტს მაგიური ძალა აღმოაჩნდა. მისი კაბინეტიდან აბსოლუტურად ყველა სურათი ჩამოვარდა, შევარდნაძის სურათის გარდა.

იმდენად მაგიური ძალა ჰქონია ჩვენს პრეზიდენტს, აღარ გვჭირდება ათასნაირი შელოცვები და ამულეტების ტარება. ჩავიდოთ გულის ჯიბეში (კაცებმა) და ჩანთაში (ქალებმა) შევარდნაძის სურათი და დაზღვეული ვიქნებით ყველანაირი უბედური შემთხვევისაგან.

რა დროს დაკითხვებია...

სანაოსნოსთან არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით ბათუმის მერი ასლან სმირბა მოწმედ უნდა დაეკითხათ. სმირბა ჯერ დასთანხმდა დაკითხვას, შემდეგ კი, ეტყობა, იფიქრა, რა დროს დაკითხვა, პოლიცია და პროკურატურაა, „ბარხატნი სეზონია“, დასვენება სჯობს ყველაფერსო, დაჰკრა ფეხი და „მზიურ აჭარაზე“ უფრო მზიურ სოჭში წავიდა დასასვენებლად.

პარლამენტარებმა ქუდი დაიხურეს

ყველაფერს აქვს დასაწყისი და ასევე დასასრული. არც ჩვენი პარლამენტის მუშაობა იქნებოდა დაუსრულებელი. სხდომის ბოლო დღეს პარლამენტარებმა მქუხარე ტაშით გადაუხადეს მადლობა სპიკერობისათვის ზურაბ ჟვანია. თვალზე ცრემლებმომდგარებმა გადახედეს რბილ სავარძლებს (ბევრმა, ალბათ უკანასკნელად), რომლებზეც ოთხი წლის განმავლობაში გემოზე „იკატავეს“, და დარბაზი დატოვეს. თუმცა, სანამ დატოვებდნენ, ისედაც მძიმე დღე ბორის კაკუბავას იმუნიტეტის მოხსნით კიდევ უფრო დაუძძიმეს.

„გასრულდა ესე“ პარლამენტის მუშაობა, ახალი პარლამენტი რას და როგორ მოგვიტანს, ორ-სამ თვეში საკუთარი თვალებით ვიხილავთ.

ქართული ჯარი წინ მიდის

დასავლეთისკენ კურსის აღებამ და „ძაან“ გაევროპელებამ სულ დააკარგვინა თავგზა და სინამდვილის აღქმის უნარი ჩვენს ხელისუფალთ. ახლა გადაწყვიტეს, რომ ქართულ ჯარში ორი წლის ნაცვლად ქართველმა ახალგაზრდებმა წელიწადნახევარი უნდა იმსახურონო. როგორც გიორგი ბარამიძემ განაცხადა, ეს დრო საკმარისია, გაწვეულები პროფესიონალებად იქცნენ. როგორ არ გაგეცინება ამაზე. ორი წელი რომ მსახურობენ ჩვენი ბიჭები, შეცდომით და უსწავლელობით ხან სად ისვრიან და ხან სად, ისე, რომ სასწავლო სამხედრო წვრთნების დროს უფროს - უმცროსიანად შიშით კანკალებენ, არიქა, ჩვენ არ ავფეთქდეთო. წელიწადნახევარში როგორ „დასპეცდებიან“, ვნახავთ!

აფერუმ, ასეთ პარტიას და ხელისუფლებას!

საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საარჩევნო კამპანიის, მათ შორის არჩევნებში მონაწილე სუბიექტების, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიტატების საარჩევნო კამპანიის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა უზრუნველყოს, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება შეგნებულად არ აკეთებს ამას.

არჩევნები კი, რომლის მონაწილე ყველა სუბიექტი (ფულიანი თუ უფულო) არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანაბარი მინიმალური ოდენობით მაინც, კანონდარღვევით ტარდება. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თითქოს საპატიო კანონდარღვევით, შესაძლებლობა ერთმეცა არჩევნებში მონაწილე ეროვნული და მაშასადამე დემოკრატიული, არასახელისუფლო და, რაც მთავარია, პატიოსანი ადამიანებით დაკომპლექტებულ უფულო პარტიებს, მოიპოვონ მინიმალური წარმატება. უსახსრობის გამო ეროვნული პარტიები ვერ ახერხებენ, დაუკავშირდნენ (სხვადასხვა მეთოდებით) ამომრჩეველს და შესთავაზონ ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანის საკუთარი შესაძლებლობები, ამომრჩევლებს კი საშუალება მიეცეთ მართალი არჩევანი გააკეთონ. დღევანდელი, ძირფესვიანად კორუმპირებული ხელისუფლება მართალია, სახსრებს ვერ ნახულობს არა მარტო საარჩევნო კამპანიის ნორმალური დაფინანსებისათვის, არამედ უკიდურესად დაბალი პენსიებისა და ხელფასების გასაცემადაც, მაგრამ ამავე დროს საქვეყნოდ აცხადებს, საკუთარი პარტიის საარჩევნო კამპანიისათვის „ფულს იმდენს ვიშოვით, რამდენიც საჭიროაო“. აფერუმ ასეთ პარტიას და ხელისუფლებას!

დეპუტატობის კანდიდატი ახალგორიდან.

ტრისტან ბერიანიძე

ინტერვიუ

რევაზ მიშველაძე:

ჩამოწეროს, ბარემ, პრეზიდენტმა ახალი პარლამენტის სია და დაგვანებოს თავი ...



- ბატონო რევაზ, ახლახანს გამოქვეყნდა თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ უარი განაცხადეთ აფხაზეთის განთავისუფლების პარტიიდან პარლამენტის წევრად კენჭისყრაზე და ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიდან გადადექით. რამ განაპირობა თქვენი ესოდენ მკაცრი გადაწყვეტილება?

– მე, მიუხედავად ჩემი მრწამსისა, რასაც ათეული წლების განმავლობაში ვვერთგულებდი - რომ არ შევსულიყავი არცერთ პარტიაში, აფხაზეთის განთავისუფლების პარტია როდესაც შეიქმნა, ჩემი მეგობრების ჩემთვის მოულოდნელ თხოვნაზე - აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ ავერჩიეთ, უარი ვერ ვთქვი. აფხაზეთს ჩემი პირადი ტრაგედიაც უკავშირდება, თანაც თითოეული ქართველის მოვალეობაა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება. ამ ორი ძირძველი კუთხის გარეშე საქართველო ვერ წარმომიდგენია. აფხაზეთის განთავისუფლების პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა მაშინვე მითხრეს, ეს მოქალაქეთა კავშირის ფილიალია და თქვენმა თანხმობამ იქ გაწევრიანებაზე გაგვაოცაო. პირველსავე დღეებში ეჭვის გასაფანტად აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის ზოგიერთ ლიდერს მივმართე. მითხრეს, რომ მსგავსი რამ არ არსებობს, ამგვარ ხმას ავრცელებენ ჩვენი მტრები, ჩვენ მოქალაქეთა კავშირთან არაფერი საერთო არა გვაქვსო. პარტიის ლიდერის - ჩემთვის უაღრესად პატივსაცემი, ჭეშმარიტად მებრძოლი კაცის - თამაზ ნადარეიშვილის საქმეა მისი პოლიტიკური და სამომავლო ორიენტაცია, მაგრამ როცა გადავხედე ამ არც თუ ისე დიდი ხნის პარტიის დაწყებულ მუშაობას, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეც გახლდით, მივხვდი, ზოგიერთ ამ პარტიის წევრთაგანს უფრო აინტერესებდა მომავალი პარლამენტის წევრობა და რაღაც თანამდებობრივი ამბიციები, ვიდრე სინამდვილეში აფხაზეთის განთავისუფლება. მაშინ ვიფიქრე, ყოველ ადამიანში არის რაღაც კარიერის ჭია და როცა დაიწმინდება, „წყალნი რომ წავლენ, წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან“, მერე ყველაფერი გაირკვევა და მე ახლაც მჯერა, რომ ეს პარტია იმ საქმეს გააკეთებს, რა საქმესაც უნდა აკეთებდეს დამარცხებული ქვეყნის განმათავისუფლებელი პარტია. არავითარი საუბარი ლაშქრის შედგენაზე, სტრატეგიაზე აფხაზეთის დასაბრუნებლად, არავითარი საუბარი რაიმე ქმედით საქმეებზე იქ არ ყოფილა, იყო მხოლოდ გაუთავებელი გამეორება ერთი და იგივესი, მშვიდობიანი გზით აფხაზეთის ძალით დაბრუნებაზე. მე, რომ გითხრათ, ეს მთლად კარგად მესმის - მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთადერთი კაცი, რომელიც ასე თუ ისე ამ ვაჟკაცურ პოზიციას სიტყვა „ძალას“ აშველებდა, თამაზ ნადარეიშვილი იყო. ბევრს ძალის გამოყენება არც უხსენებია, მშვიდობიანი, ხავერდოვანი გზით კი საქართველოს აფხაზეთს რომ არავინ მიართმევს, ეს ფაქტია და ცხოვრებამ დაადასტურა. აი, ჩემი გულის გატეხვის პირველი მიზეზი. მეორე და უფრო საშინელი იყო, როცა მოულოდნელად გავიგე: აფხაზეთის

გაგრძელება მე-4 გვ

„ციმბირის წყლულის გავრცელება შეიძლება დივერსიად ჩაითვალოს“

ჯილეხი ანუ ციმბირის წყლული ბოლო კვირაში გარდაბნის რაიონის და დედოფლისწყაროს რაიონში დაფიქსირდა. უფრო მეტიც, მთელ რაიონში კარანტინია გამოცხადებული და ავადმყოფობის გარცელება ყოველდღიურად შეინიშნება.

ადამიანებში ყველაზე ხშირად ჯილეხის კანის ფორმა ვითარდება. იშვიათია ფილტვის და კუჭნაწლავის ფორმით გავითარება. ექიმთა თქმით, ბაქტერიული ინფექციის ინკუბაციის პერიოდი რამდენიმე საათიდან 10 დღემდეა. მიკრობის შეჭრის ადგილზე ჩნდება მცირე ზომის წითელი ლაქა, რომელიც დაწყლულების შემდეგ დამახასიათებელი მოშავო ფერის ფუთქით იფარება და მზარდი, მკვრივი შეშუპებითაა გარშემორტყმული. ხშირია ზოგადი ინტოქსიკაციაც. წყლული უმტკივნეულოა. ძირითადი დაზიანების ირგვლივ ხშირად ჩნდება მცირე ზომის თანმხლები წყლულები.

აღნიშნულ პრობლემას ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს სახალხო ფრონტი. პარტიის სამედიცინო ექსპერტის გელა ღლიღვაშვილის თქმით, ინფორმაცია ციმბირული წყლულის ირგვლივ საზოგადოებას ძალიან მწირედ მიეწოდა. საუბედუროდ, ამ დაავადებამ შესაძლოა ცხოველისა თუ ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს, დაწყებული რამდენიმე წუთიდან, დამთავრებული რამდენიმე დღით.

– ადამიანის ინფიცირება დაავადებულ ცხოველთან ან ცხოველისგან მიღებული პროდუქტებიდან არა მარტო კონტაქტის დროს ხდება, არამედ მის გარცელებაში დიდ როლს ასრულებენ მღრღნელები და მწერები.

ბატონმა გელამ დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ კარანტინის სისტემა ძალიან სერიოზული ღონისძიებაა და საკითხი მხოლოდ გზების გადაკეტვითა და გაფუჭებული ხორცის შეჩერებით ვერ გადაწყდება.

- ციმბირის წყლულის გამოვლენას ორი ფორმა აქვს. პირველი, შედარებით მსუბუქი, ანუ კანის ფორმა და მეორე კისცელარული ანუ შინაგანი ფორმა, რომელსაც ძალზედ მძიმე შედეგებამდე მიჰყავს ავადმყოფი. აქ იგულისხმება ციმბირის წყლულის სეფსისი, მენინგიტი და ის მეტასტაზური გადასვლები, რაც ხდება



ნაწლავთა სისტემიდან ფილტვებში.

გ. ღლიღვაშვილმა განსკუთრებით გაუსვა ხაზი იმ პრობლემას, რომ უნდა დადგინდეს ამ დაავადების პირველი მიზეზი. ვარაუდებით ასეთ სერიოზულ თემაზე მსჯელობა ყოვლად დაუშვებელია. - ჩასატარებელია სამუშაო, რათა მოხდეს ამ შტამების იდენტიფიკაცია, ანუ დადგინდეს, ერთსა და იმავე შტამის მიერ გამოწვეულია ეს დაავადება თუ არა. ამ თვალსაზრისით, დღეისათვის საქართველოში პრაქტიკულად არ ხორციელდება მკაცრი მიკრობიოლოგიური შემოწმებები, შტამების იდენტიფიკაცია. პრაქტიკაში იქმნება შტამების სპეციალური მუზეუმი, სადაც იკვლევენ, თუ რომელმა ბაცილამ რა დროს რა დაავადება გამოიწვია, ჩვენთან კი ეს არ კეთდება.

ბ-ნი გელას აზრით, ციმბირის წყლულის გავრცელება შეიძლება ჩაითვალოს დივერსიად.- ეს ყველაფერი არ მოხდებოდა, თავის დროზე რომ ჩატარებულიყო ვაქცინაცია, - დასძენს, - როცა ვაქცინა საქონელს უკეთდება, უნვითარდება მყარი იმუნიტეტი. ვიღაცამ რომ შემოიტანოს ან შემთხვევით ნიადაგიდან ამოხტეს კიდეც ეს დაავადება, ცხოველი მას არ აღიქვამს, რადგან იმუნიტეტი აქვს ამ დაავადების მიმართ.

საქართველოში ციმბირის წყლულის განვითარებას ნიადაგი სრულიად მომზადებული დახვდა. თურმე ვეტდეპარტამენტი დროულ ვაქცინაციას არ ატარებდა. არადა, თვით ციმბირული წყლულის ვაქცინა ჩვენს ქვეყანაში მზადდება. - პირადად ვიცნობ იმ მეცნიერებს, ვინც ამ ვაქცინას ამზადებს და მათთვის ის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ასე რომ, ფუჭია იმაზე საუბარი, თითქოს საზღვარგარეთიდან ვაქცინის შემოსატანი თანხა არა გაქვს, (თუმცა „მერსედესების“ რაოდენობა დღითი-დღე იზრდება), - დასძენს პარტიის სამედიცინო ექსპერტი.

ბ-ნი გელა დარწმუნებულია, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ყველა ზომებს იხმარს, რათა გავრცელებული დაავადება სასწრაფოდ შეიძლება აღიკვეთოს. შტამების ინდენტიფიკაციისა და დაავადების გავრცელების პირველადი წყაროს დადგენის შემთხვევაში არიდებული იქნებოდა ზუგდიდში გავრცელებული მუცლის ტიფიც, რომლითაც არაერთი მოქალაქეა ინფიცირებული.

გ. ღლიღვაშვილმა აფხაზეთის ომის პირველ პერიოდში მომხდარი დივერსია გაიხსენა, როცა სოხუმის ერთ-ერთი ინსტიტუტიდან შავი ჭირის რამდენიმე კონტეინერი გაქრა და საქართველოში ამ დაავადების შემთხვევები დაფიქსირდა.

- საფიქრებელია, რომ აქაც წინასწარდაგეგმილ შემთხვევასთან გვქონდა საქმე.

ირმა ურბეხაშვილი

ინტერვიუ

გოგი სორდია:

ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც მოქკავშირისა და „აღორძინების“ შემდეგ გადალახავს 7 პროცენტიან ბარიერს...

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს სახალხო ფრონტის აღმასრულებელ მდივანთან, ბლოკის „სახალხო ფრონტი – ჭავჭავაძის საზოგადოება“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელთან, ბ-ნ გოგი სორდიასთან.

– როგორ ემზადება სახალხო ფრონტი არჩევნებისათვის?

– სახალხო ფრონტი ამ არჩევნებისათვის შედარებით უფრო მოწესრიგებული და ორგანიზებული ხვდება. ხელს გვიწყობს რამდენიმე გარემოება. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს სახალხო ფრონტის აღდგენა. მოსახლეობამ იცის, რომ სახალხო ფრონტი 1989 წლიდან ერთ-ერთი უძლიერესი და მრავალფეროვანი ორგანიზაცია იყო ეროვნულ პარტიებს შორის. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. მას საყოველთაო მოძრაობის ფორმა უფრო ჰქონდა, ვიდრე კონკრეტული პარტიის. დღევანდელ საქართველოში ასეთი მასშტაბური მოძრაობის შექმნის აუცილებლობა შეიქმნა. სახალხო ფრონტის აღდგენის შედეგად ორგანიზაციას დაუბრუნდნენ ძველი წევრები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და ქალაქებში. ინტენსიურად ხდება ახალ წევრთა მიღება. მეორე მნიშვნელოვან გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ეროვნული სულისკვეთების გამოღვიძება, მონაწილეობის სურვილი ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზმის შეცვლაში და რაც მთავარია, მზადყოფნა სიცოცხლის ფასად ქვეყნის გადასარჩენად. მინდა ისიც გითხრათ, რომ მოსახლეობის უმრავლესობას გული ატკინა ეროვნულად წოდებული პარტიების მიერ მოსახლეობის მოტყუებამ. ძირითადში თითქმის ყველა პოლიტიკოსმა ხელისუფლებაში მისვლისთანავე თავისი პირადი კეთილდღეობისათვის დაიწყო ზრუნვა. ყველაზე უფრო ჰეტიკე ეროვნულმა პარტიებმა ამ პარლამენტში ადგილი ვერ მიიღეს. ამ გარემოებამ მოსახლეობას არჩევნებზე გული ააყრევინა. ამიტომაც იგი ძლიან დიდ იმედებს ამყარებს თითო – ოროლა შემორჩენილ პატიოსან პარტიებზე და პიროვნებებზე. ასეთებად დღეს შეიძლება ჩაითვალოს ნოდარ ნათაძე და სახალხო ფრონტი, თამარ ჩხეიძე და ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ამ უკანასკნელთან ჩვენ არჩევნებში ერთ ბლოკად გამოვდივართ.

– რამდენად ობიექტური იქნება არჩევნები?

– დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ მიმდინარე არჩევნებში უფრო დიდი გაყალბება მოხდეს, ვიდრე ოდესმე იყო. ამის საშუალებას იძლევა დღეს მოქალაქეთა კავშირზე მორგებული ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონი. მიუხედავად ამისა, ჩვენს ბლოკს და ზოგიერთ ეროვნულ პარტიებს დღეს უკვე შეგვწევს ძალა იმისა, რომ თითქმის ყველა საარჩევნო უბანი კონტროლს ექვემდებარებოდეს. ვეცდებით, რომ გაყალბების მასშტაბი შევამციროთ.

– რა არის იმისათვის აუცილებელი, რომ წარმატებას მიაღწიოს პარტიამ და 7 პროცენტიანი ბარიერი გადალახოს? რამდენად რეალური შანსი აქვს ამ მხრივ სახალხო ფრონტს?

– ჩვენ ვთვლით, რომ 7 პროცენტიანი ბარიერის შემოღება დღეს საქართველოში არადემოკრატიულია. ამ ბარიერის შედეგად საქართველოში ასეულ ათასობით ამომრჩევლის ნება დარჩება გაუთვალისწინებელი. მათი ხმები შესაძლებელია მიეთვალოს გვაროვნულ-კლანურ პარტიებს. ჩვენ ხშირად გვიფიქრია, რომ სახალხო ფრონტმა 6,9 პროცენტი რომ აიღოს, აღებულ ხმებს ისეთი პარტიები მიითვლიან, როგორებიცაა მოქალაქეთა კავშირი და საქართველოს აღორძინება. ჩვენი ხმების მათზე გადაცემა შეიძლება სამშობლოს ღალატის რანგში ჩაითვალოს. ეს რომ არ მომხდარიყო, სახალხო ფრონტი და ჭავჭავაძის საზოგადოება ძალლონეს არ იშურებდა იმისთვის, რათა ერთიანი ძლიერი ეროვნული ბლოკი შექმნილიყო. თუ არ გავითვალისწინებთ მცირერიცხოვან ეროვნულ პარტიებს (რომლებმაც ვერ გაუძლეს კლანურ-გვაროვნულ მრავალპარტიულობას), თითქმის ყველა ეროვნულად თუ ოპოზიციურად წოდებული პარტიები შევარდნაძისეული ან აბაშიძისეული აღმოჩნდნენ. საეჭვო გახლავთ ის გარემოებაც, რომ საქართველოში ბოლო ოთხი (ან ნაკლები) წლის წინ შექმნილ პარტიათა უმეტესი ნაწილი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შევარდნაძემ იცის მოსახლეობაში მისი მხარდამჭერები გეომეტრიული პროგრესიით იკლებს, მაშინ მარტივია ფორმულის გაშიფვრა: შევარდნაძე ქმნის ფსევდოოპოზიციურ პარტიებს, რომელთა სახელითაც ბადეს დაუხვედრებს არა მხარდამჭერი მოსახლეობის ხმებს. თქვენ ალბათ დაგებადებათ კითხვა, თუ რომელ პარტიებს ვგულისხმობ. ეს პარტიებია: ლეიბორისტული პარტია, სოციალისტური პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, მოძრაობა ქართული სახელმწიფოსთვის, და არაერთი სხვა.

რაც შეეხება სახალხო ფრონტს და ჭავჭავაძის საზოგადოებას, მე მგონი, თუ შესაძლებელი გახდა მცირე ფინანსების პირობებში დასახული ამოცანების შესრულება, ჩვენ ვიქნებით ის მესამე ძალა, მოქკავშირისა და აღორძინების შემდეგ, რომელიც გადალახავს 7 პროცენტიან ბარიერს. სხვა პარტიები და ბლოკები, მიუხედავად დიდი ფინანსების ფლობისა, იდეოლოგიური ბაზის უქონლობის გამო ვერ გადალახავენ. თუნდაც იმიტომ, რომ მოსახლეობას ხშირად ატყუებენ.

– რატომ არ აფინანსებს ხელისუფლება არჩევნებში მონაწილე პარტიებს და გაქვთ თუ არა იურიდიული უფლება ეს მოითხოვოთ?

– საარჩევნო კანონის 30-ე მუხლი პარტიების და კანდიდატების დაფინანსებას ითვალისწინებს, მაგრამ არ განმარტავს, თუ როდის და რამდენს. თუ ჩვენ უფლებების დაცვა დავიწყეთ სასამართლოს მეშვეობით, ვფიქრობთ, რომ სასამართლო ხარჯები უფრო მეტი იქნება, ვიდრე ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. თანაც სასამართლო პროცესმა შეიძლება არჩევნების პროცესიდან ჩვენი ჩამოშორება გამოიწვიოს და შედეგი არჩევნების შემდეგ მივიღოთ მითუმეტეს, გვაროვნულ-კლანურ სახელმწიფოში სამართლის მიღწევის იმედი არა გვაქვს. თუ უფულო პარტიები ფულიანი გახდებიან, მაშინ პროგნოზირებად გამსვლელ პარტიებად მოქალაქეთა კავშირი და ბათუმური ალიანსი ვერ გახდებიან.

– როგორ წარმოგიდგენიათ მომავალი მოწვევის პარლამენტი? როგორია თქვენეული პროგნოზი არჩევნების შედეგებისა, ძალათა რა თანაფარდობით მოვა ესა თუ ის პარტია.

– ძალიან ძნელია ამის წინასწარი პროგნოზი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განაწილდება 7 პროცენტიან გადაულახავ პარტიათა ხმები. ისე, პოტენციურად გამსვლელ პარტიებზე ზემოთ უკვე ვილაპარაკე. არ გამოვრიცხავ სახელისუფლო ხმების არ დაგროვების გამო (ერთი კონკრეტული პარტია ან ბლოკი სახელისუფლო ხმებს ვერ აიღებს) სახელმწიფოში შეიქმნას საპარლამენტო კრიზისი.

ესაუბრა
მ. ლობჯანიძე

ჭეშმარიტი ქართველის სიმპათიები კოლხურ კოშკში მოშიმშილეთა მხარეს უნდა იყოს...

შიმშილობა პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი გამოცდილი მეთოდია და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში სხვადასხვა დროს არაერთხელ მიუმართავთ მისთვის. სხვა საკითხია, რამდენად შედეგიანი გამომდგარა შიმშილობა ამა თუ იმ პოლიტიკური მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

შიმშილობა არც ჩვენი ქვეყნისთვისაა უცხო ხილი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში არაერთხელ გამოუყენებიათ პოლიტიკური ბრძოლის ეს ფორმა, რა თქმა უნდა, სხვა მეთოდებთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ კოლხურ კოშკში დღეს მიმდინარე მოშიმშილეთა აქცია, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია საქართველოში ოდესმე ჩატარებულ ამ ხასიათის აქციათა შორის. მართალია, მოშიმშილეთა მოთხოვნა – უპირობოდ გადადგნენ დღევანდელი ხელისუფალნიო, ცოტა არ იყოს უტოპიურად გვეჩვენება, მაგრამ სამართლიანი ნამდვილად არის. გარდა აქციის მასშტაბებისა, ხაზი უნდა გავუსვათ მასში მონაწილე ადამიანთა პრინციპულობას, რწმენას იმისა, რომ მიზანს მიაღწევენ და მიგვაჩნია, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველის, ეროვნულად მოაზროვნე მოქალაქის სიმპათიები მათ მხარეს უნდა იყოს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის თანამშრომელთა და სახალხო ფრონტის წევრთა სახელით გვინდა მადლობა ვუთხრათ ამ მამაც, პატრიოტ, თავდადებულ ადამიანებს იმისათვის, რომ საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ფასად ცდილობენ კანონიერების აღდგენას, ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლას. ამასთანავე, ბოდიშს ვუხდით მათ გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომრის ერთ-ერთ ინფორმაციაში გაპარული რეპლიკისთვის, რომელიც მოშიმშილეთა აქციას შეეხებოდა, იმედია, დიდსულოვნად მოგვიტევებენ ეს ადამიანები ამ ჩვენს უნებლიე გადაცდომას.

თენგიზ შარმანაშვილი:

70-იან წლებში საქართველოში ყველაზე მეტი „კორუმპირებული“ დახვრიტეს...

– მიუხედავად სხვადასხვა ძალებთან კონსულტაციებისა, არჩევანი „დიდგორზე“ შეაჩერეთ. რით იყო გამოწვეული ეს?

– „დიდგორთან“ მოლაპარაკება არ დაწყებულა დღეს და გუშინ. არჩევნების წინ ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ ერი უნდა გამთლიანდეს, დაპირისპირებული ძალები ერთად უნდა დასხდნენ. ამაზე დიდხანს ვმუშაობდით, მათ შორის „დიდგორის“ წარმომადგენლებთანაც. გვინდოდა გაგვერკვია პოზიციები. პრინციპში ჩვენ ერთი იდეოლოგიის, მისწრაფების ხალხი ვართ. ბზარი ჩვენს შორის წარსულმა გააჩინა და არა იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ, ჩვენც და „დიდგორმაც“ შევძელით ჩვენს თავში მოგვენახა ის ძალა, რომ ერთმანეთის პრეტენზიები გვერდზე გადაგვედო საქართველოს საკეთილდღეოდ. ჩვენ შევქმენით ეს ალიანსი და მოხარულები ვართ. ამით ჩვენ სხვასაც მივეცით მაგალითი. ადამიანებმა უნდა გადადგან ასეთი ნაბიჯები და არ გაიხსენონ ურთიერთწყენა და დაპირისპირება.

რაც შეეხება სხვებთან ურთიერთობას, მოლაპარაკება, სიტუაციის გარკვევა შეიძლება, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც ეს ვერ ხერხდება ობიექტური ან სუბიექტური მიზეზების გამო. ამაში კატასტროფული არაფერი არ არის. „აღორძინებასთან“ ჩვენ შეთანხმებულები ვართ, რომ არჩევნების პერიოდში ერთმანეთის საწინააღმდეგო ნაბიჯებს არ გადავდგამთ. მაჟორიტარულ ოლქებში ჩვენ სადაც გვეყოლება კანდიდატი, იქ ისინი არ დააყენებენ და პირიქით. მთავარი მათთან თანამშრომლობის არსი ის არის, რომ ჩვენ დაგვიპირისპირდება უზარმაზარი სახელმწიფო მანქანა, რომელიც შეეცდება არჩევნების გაყალბებას. ჩვენ ყველანი ცალცალკე ჩვენი გადმოსახედიდან თუ დავიწყებთ ამის წინააღმდეგ ბრძოლას, სერიოზულ შედეგს ვერ მივაღწევთ. ამიტომ, ყველა ოპოზიციური პარტია, დაპირისპირების მიუხედავად, უნდა შეეცადოს ითანამშრომლოს საარჩევნო კომისიებთან და არ მისცეს საშუალება ხელისუფლებას, მოახდინოს ტოტალური გაყალბება.

– ხომ იყო შანსი, რომ შეკრებილიყვნენ ეროვნული ძალები და შექმნილიყო ერთგვარი „ეროვნული ალიანსი“...

– შანსი იყო. ამაზე საუბარი ჯერ კიდევ ადგილობრივი არჩევნების დროს დაიწყო. გვქონდა შეხვედრები „სახალხო ფრონტთან“, – ბატონ ნოდარ ნათაძესთან, ირაკლი წერეთელთან.

ჩვენ პოლიტიკაში ერთი და ორი წელი კი არა ვართ და ვიცით, რომ მექანიკურ გაერთიანებებს არ მოსდევს არანაირი შედეგი, რაც უნდა ერთი

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რევაზ მიშველაძე:

ჩამოწეროს, ბარემ, პრეზიდენტმა ახალი პარლამენტის სია და დაგვანებოს თავი ...



მე-2 გვერდიდან

განთავისუფლების პარტია ალიანსში მოქალაქეთა კავშირთან შევიდა და თავის სახელწოდებით კი არ გაერთიანდა ბლოკში, არამედ საერთო საარჩევნო სიით. თითოეული წევრის გვარი წარდგენილი იქნებოდა, როგორც მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლისა.

გადაწყვეტილება მაშინვე არ მიმიღია, ავწონ-დავწონე კარგად, ჩემი, როგორც ქართველი მწერლის ეროვნული პოზიცია, ავწონ-დავწონე მომავალი არჩევნების ობიექტურობის გასაგისი, ობიექტურობის ამპლიტუდა და, ჩემი აზრით, მივედი იმ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებამდე, რომ მე ვერ ვიქნები ალიანსში და პარლამენტში წარმომადგენლად იმ პარტიისა, რომელმაც საქართველოში ეროვნულობის გაქრობა დაიკანონა, რომელმაც მსოფლიოს არ განუცხადა, რომ რუსმა წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო და ა.შ. მიუხედავად ჩემი პირადი პატივისცემისა აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის არაერთი წევრისადმი და, თუ გნებავთ, მოქალაქეთა კავშირის ბევრი წევრისადმი, ჩემი ორიენტაცია ამ ბლოკიდან კენჭისყრას გამორიცხავს.

- მწერალი ქვეყნის მაჯისცემას უნდა იყოს მიყურადებული, როგორც ექიმი. ამ წინასაარჩევნო ციებ-ცხელების დროს რას გრძნობს თანამედროვე მწერალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული მწერალი – რევაზ მიშველაძე?

- აჩქარებულ მაჯისცემას ვგრძნობ და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან მთელი ქვეყანა, სადაც ვიყავი ამ დღეებში, უბრალო გლეხი, მესიმინდე თუ მევენახე, არჩევნების პრობლემით არის დაინტერესებული. უკვე აღარ ვამბობ იმას, რომ პარლამენტის წევრობის სურვილი ისეთ ადამიანებს გაუჩნდათ, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ პოლიტიკასთან, საპარლამენტო საქმიანობასთან, მითუმეტეს საკანონმდებლოსთან. ორი კანონი ზედიზედ არ ეჭნებათ წაკითხული და რა მუშაობა უნდა გასწიონ მათ პარლამენტში, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ძალიან საშიშია ეს ამბავი, ეტყობა პარლამენტს იმდენად გაუტყდა სახელი ერის ცნობიერებაში, რომ პარლამენტის წევრობა მარტო პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას კი არა, რაღაც ეკონომიურ სარგებლიანობასაც უკავშირდება, ისე მე ვერაფრით წარმომიდგენია, რომ ყოფილი პარტიული მუშაკი, ყოფილი კავკომი მუშაკი, თუნდაც საქმის კაცი, რომელიც უფრო სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისთვის იქ, რასაც ჭქვია ქვეყნის ეკონომიკის და ეროვნულობის განვითარება, მოდის პარლამენტისკენ. რა არის ამის მიზეზი? იგი ან დაუცველია სოციალურად და პარლამენტის წევრობით უნდა თავის სოციალურ-პროფესიული წრის ინტერესები დაიცვას ან მისთვის ეს არის რაღაც ფინანსურად, ეკონომიკურად მომგებიანი პოზიცია. პარლამენტის წევრს, ეტყობა, იმ ორასი-სამასი ლარის გარდა, რაც ხელფასი ეძლევა, კიდევ აქვს შანსი და საშუალება დამატებით რაღაც ჰქონდეს, ვიღაცის „კრიშა“ იყოს. მისი სახელი ფიგურირებდეს, როგორც მოწილესი რაღაც დიდ „საფულო“ საქმეებში, უნდათ თავისი პოზიციების განმტკიცება. ჰოგეხსენებათ სადეპუტატო იმუნიტეტის შესახებაც... მოკლედ, იმდენად გათავხედდნენ, რომ პატიოსან ადამიანებს, მართლა პოლიტიკისთვის დაბადებულებს იქაც უჭრიან გზას, თქვენ მათხოვრებად დაიბადეთ და მათხოვრებად დარჩითო, აქაც ჩვენ უნდა ვიყოთო.

მე ძალიან ვშიშობ ერთ რამეს, რასაკვირველია, არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია... ჩემი ინტუიციით და წინა არჩევნების გამოცდილებით ვამბობ, ისე გაყალბდება არჩევნები, როგორც დაგიბარებია და ამის მანქანა უკვე ამუშავებულია... „აღორძინების“ პარტიას დიდი ბრძოლა მოუწევს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს მოსახლეობაში. ალბათ, ერთადერთი ხერხი ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად ის იქნება, რომ ადამიანებმა ჩასჭიდონ ხელი ერთმანეთს, თოკით გამოებან საარჩევნო ყუთებს და ხმის დათვლამდე არ მოშორდნენ.

მოქალაქეთა კავშირს შეგნებული ნაწილი ქართველი ერისა არა მგონია მხარს უჭერდეს, მაგრამ მათ უკვე უზარმაზარი ოდენობის ხმები აქვთ მოგროვილი არაქართველი მოსახლეობისა. მათ ხმას მისცემენ აზერბაიჯანელები, სომხები და რუსები. ე.წ. არაავტოქტონურ ერებს თავიანთი მოსაზრებები აქვთ საქართველოს მომავალთან დაკავშირებით. ისინი იკითხავენ, რომელ პარტიას უჭერს მხარს პრეზიდენტი? მოქალაქეთა კავშირს! შევარდნაძე ხომ ის კაცია - რომელმაც საქართველოში ინტერნაციონალური ცხოვრება დაამკვიდრა, განსხვავებით ზვიად გამსახურდიასაგან. ჩვენ, წასულები საქართველოდან ან წასასვლელად გამზადებულები, შევარდნაძემ დაგვაბრუნა და გვითხრა, ვინ თქვა, საქართველოში ავტოქტონური ერი ქართველებიაო. პირიქით, ჩამოდით, იცხოვრეთ, აგერ იყავით ჩვენს კისერზე. აგერ ჩვენი მიწები, აგერ ჩვენი ქეყანა, აგერ ჩვენი კისერი თოკშებმული. ამიტომ მათი პოზიცია აბსოლუტურად გასაგები და ცხადია. ამას დაემატება ძალისმიერი მეთოდებით მიყრუებული სოფლებიდან ავტობუსებით ჩამოყვანილი ადამიანების ხმები და მე ვაცხადებ, ძალიან დიდი, სამკვდროსასიცოცხლო სიფხიზლე დასჭირდებათ ეროვნულ პარტიებს გამარჯვებისთვის.

მოქალაქეთა კავშირის გამოგონილი 7 პროცენტიანი ბარიერიც ზღუდედ აღიმართა მათ წინ. ერთი არასასურველი რამ მაინც მოუვიდა ხელისუფლებას. ორი პარტია უნდოდათ პარლამენტში – „მოქალაქეთა კავშირი“ და „ედპ“. მესამე, რომელიც გადალახავს, 7 პროცენტიან ბარიერს ამ ორი პარტიის გულის გასახეთქად, არის „აღორძინება“. ბარიერს შეიძლება მიუახლოვდეს მრეწველთა კავშირი და 10 ადგილამდე მოიპოვოს. ეს არის და ეს.

- ბატონო რევაზ, ხშირად „აღორძინების“ „მოქალაქეებთან“ ალიანსშიც სდებენ ბრალს. ეჰვი ხომ არ შეგპარვიათ როდესმე?

- უკვე საეჭვო აღარაფერი არ არის. მოქალაქეთა კავშირთან „აღორძინების“ არავითარი ალიანსი არა აქვს. „აღორძინების“ პარტიას თავის პროგრამაში მმართველი პარტიისაგან სრულიად განსხვავებული მიზნები აქვს. „აღორძინების“ პარტიამ ფაქტით უჩვენა მისი ხაზის სისწორე და ეს ყველაფერს ნიშნავს. ახლა, რაც ამ ორ პარტიას შორის დამოკიდებულებას შეეხება, კარგად ხედავთ, რომ უფსკრული მათ შორის დღითიდღე იზრდება. უფრო დიდი ღირსების გრძნობა და მეტი სიფრთხილე მართებს ცენტრს აჭარის მიმართ. უფსკრული არ უნდა გავაღრმავოთ. ყოველდღიურად თავს ესხმიან აჭარას ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებით. ხან გემების საქმე ამოტივტივდება, ხან რუსეთთან აჭარის ხელმძღვანელობის ალიანსი, ხან იმნაძესთან დაკავშირებული ტრაგედიის სურათები. ყველანაირად ცდილობენ ასლან აბაშიძის კომპრომეტირებას, თუმცა ამას საბოლოოდ ვერ ახერხებენ, რადგან მას მოაქვს საბუთები - ვინ არის გემების გაყიდვაში დამნაშავე, ვისი რეზოლუციით მოხდა ეს. წინასაარჩევნო მარათონში კი მორალურად გამარჯვებული რჩება ის პიროვნება თუ პარტია, რომელსაც უფრო მეტი ინსინუაციის მტვერში ახვევენ მისი მოწინააღმდეგეები. საკმარისია ერთ ცილისწამებაში გაიმართლოს კაცმა თავი, რომ ხალხი რწმუნდება, არ ყოფილა ეს კაცი დამნაშავეო.

მილიონობით ლარი თუ დოლარი იხარჯება ამ არჩევნებისთვის. ხანდახან ვფიქრობ, ეს ფული პენსიებად და ხელფასებად დაურიგონ მშიერ მოსახლეობას და ჩამოწეროს პრეზიდენტმა პირდაპირ ახალი პარლამენტის სია, ნუ ანერვიულებს ამ ხალხს, რადგან მაინც არაფერს არ ნიშნავს ეს პარლამენტი და პარლამენტის წევრობა ოპოზიციონერისთვის. ეს დაამტკიცა ბოლო ორმა პარლამენტმა. უმრავლესობა, რასაც უნდა იმას აკეთებს. ეს პატარ-პატარა ოპოზიციური პარტიები რჩებიან მოლაყბის დონეზე. იყაყანებენ, იყაყანებენ, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. მახსოვს მამუკა გიორგაძის, ჯემალ გოგიტიძის, შალვა ნათელაშვილის ცეცხლოვანი გამოსვლები, მაგრამ რა შეიცვალა? მოქალაქეთა კავშირმა მაინც ყველა ის კანონი მიიღო, რაც ქვანიას და სააკაშვილს აძლევდათ ხელს. ამიტომ ჩამოწეროს, ბატონო, პარლამენტის სია და დაგვანებონ თავი.

- ბატონო რევაზ, რომელ პოლიტიკურ მოღვაწეებს ისურვებდით, რომ მომავალ პარლამენტში გეხილათ?

- აუცილებლად უნდა იყვნენ ახალ პარლამენტში ასლან აბაშიძე, ჯემალ გოგიტიძე, ნოდარ ნათაძე, დავით სალარიძე, აკაკი ასათიანი, მამუკა გიორგაძე, ბორის კაკუბავა, გურამ შარაძე, თამაზ ნადარეიშვილი, გოგი თოფაძე, ნესტან კირთაძე, იური ბიბილეიშვილი, მანანა არჩვაძეც კი, რომელიც კენჭს არ იყრის, გიორგი კობახიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, სოსო სიგუა, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვანი. ბევრი გვარი, რასაკვირველია, გამომრჩა, თანაც მე შეიძლება ყველა მათგანის პოზიციას არ ვეთანხმებოდე, მაგრამ ისინი ხომ თავისი მაძიებელი გონებით და ცოცხალი აზრით აუცილებლად საჭირონი არიან პარლამენტისთვის, ამაში დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება ქვანია - სააკაშვილ - ჩიტაია - ბურჯანაძე - ღოღობერიძე - შენგელაიას და მათთა სულიერ ძმათა თუ დათა მდგომარეობას, მათ უნდა აღიარონ, რომ ვერაფერი სასიკეთო ქართველი ერისთვის ვერ გააკეთეს და წავიდნენ პოლიტიკიდან. რისი გამკეთებელია ელდარ შენგელაია - ნიჭიერი კინორეჟისორი პარლამენტში? რაშია საქმე? რატომ ვიკავებთ ჩვენ პარლამენტში იმ ნიჭიერი ახალგაზრდობის ადგილს, რომელთაც იქნებ მართლა შეეძლოთ საქართველოს შველა?

- პოლიტიკოსთაგან ხშირად ისმის ფრაზა - ზვიად ცეცხლაძე ჩემი მეგობარია. მათი მხრიდან ეს გასაგებია. ამგვარი განცხადება, ამასწინათ, თქვენც გააკეთეთ...

- ზვიად ცეცხლაძე როგორი იქნება, როგორც კანონმდებელი და პარლამენტარი, ამაზე ვერაფერს გეტყვით. მე ვიცი როგორი კაცია დღეს ზვიად ცეცხლაძე და რას აკეთებს. ჩახვალთ ბათუმში და ნახავთ კარგად გარემონტებულ ან ახალ სასტუმროს შენობას. ვინ გააკეთაო, იკითხავთ - ზვიად ცეცხლაძემ. ჩამოხვალთ თბილისში და ნახავთ კარგად გაკეთებულ საუწყებო აპარტამენტს და იკითხავთ, ვინ გააკეთა? ზვიად ცეცხლაძემ! მაშინ, როცა ადამიანები ფულს ათასი მაქინაციებით აკეთებენ, გამოაქვთ ბანკიდან სესხები ვითომ ქვეყნის სასარგებლოდ და სინამდვილეში „ქოხებს“ ყიდულობენ საზღვარგარეთ. მაშინ, როცა ადამიანები უსინდისოდ ატყუებენ ქვეყნის პრეზიდენტსაც. ამ დროს ზვიად ცეცხლაძის გაკეთებული საქმე ქვეყანას რჩება ცოცხალ ძეგლებად: ეს იქნება ამუშავებული საწარმო, აშენებული ეკლესია, სასტუმრო, ახალი ხიდი თუ საქველმოქმედო დახმარება გაუქმების პირას მისული ჟურნალებისადმი.

მარტო ეს არ არის მიზეზი... ზვიად ცეცხლაძე მეწველი ძროხა არ არის, რომ ყველას დახმარება შეძლოს. იგი კულტურული კაცია პირად ურთიერთობაში, ეროვნული ადამიანია, ინტელიგენტია, ქვეყნისთვის საჭირო ადამიანია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა კენჭს იყრიან ჩარჩები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მოგეხსენებათ, არაერთი ჩარჩი მიძვრება პარლამენტისკენ.

- თქვენ ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველმა ატეხეთ აჟიოტაჟი პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ეროვნების გრაფის ამოღების შესახებ. რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ დამუშავების პროცესში მყოფი ერთ-ერთი ვარიანტი ამ საკითხის მოგვარებისა: 16 წლამდე ბავშვს ორივე მშობლის ეროვნება ეწეროს დაბადების მოწმობაში, 16 წლის შემდეგ კი საკუთარი სურვილით ამოირჩიოსო?

- მთელს დედამიწაზე მარტო საქართველოში მიიღეს ეროვნების დამამხობელი კანონი, რომლის ძალითაც არც დაბადების მოწმობაში, არც პირადობის მოწმობაში, არც პასპორტში – ეროვნულობის აღმნიშვნელი გრაფა აღარ არის. მე ამის გამო აღვშფოთდი, მაგრამ რად გინდა?.. ისეთი შეშლილი სახით ამტკიცებდა ზოგიერთი უვიცი პარლამენტარი, ევროპაში, ასეა გენაცვალეო, ჩვენ რა, წითელი კვერცხი ვართო. იქ რომ წერია „ნაციონალიტე“, „ნეიშენელიტი“, „დერ ნაციონალე“ ნაციონალობას არ ნიშნავსო, „ნაციონალობა“ ევროპაში მოქალაქეობას ნიშნავსო. სასაცილოზე სასაცილოა! კაცს შენს სიცოცხლეში ელემენტარულად არ უნდა გქონდეს გადაშლილი ერთი ლექსიკონიც, რომ ამას ამტკიცებდე. მწერლებმა ხელი მოვაწერეთ განცხადებას, მაგრამ მაუდის ქვეშ ამოდო იგი საქართველოს ხელისუფლებამ, ზურგი შეაქცია მთელი ქართველი ერის კვნესას, თხოვნას, თვალთმაქცურად გადადო საკითხი. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტზეც იმოქმედეს არაჯანსაღმა ძალებმა პარლამენტის ხელმძღვანელობიდან და იძულებული გახდა შევარდნაძე, ეთქვა, გადავდოთ ეს საკითხიო.

ყელი აქვს გამოღადრული გურამ შარაძეს ყოველდღე: დღეს მაინც შევიტანოთ დღის წესრიგში ეს საკითხიო, მაგრამ ცინიკური ღიმილით ხვდებიან მის თხოვნას პარლამენტის ხელმძღვანელები და პრეზიდიუმის ბერი წევრი. ახლა დაუდგენიათ, მომავალმა პარლამენტმა განიხილოს ეს საკითხიო. ვინ ეკითხება ამ პარლამენტს, რას განიხილავს მომავალი პარლამენტი? ეს სასაცილო არ არის? მომავალი პარლამენტი რომელიც უფრო „მოქალაქური“ იქნება, ვიდრე დღევანდელია, რა სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებს ქართველი ერისთვის? მე საჯაროდ ვაცხადებ, 1999 წლის 14 იანვრიდან საქართველო არის უეროვნებო ქვეყანა.

რაც მაგ ახალ ვარიანტს შეეხება, ეს სატყუარაა, ბავშვს რომ პირში ჩაუდებენ. მე არ მესმის რისი რცხვენიათ, რატომაა სირცხვილი ქართველობის ჩაწერა? თუ ამას არ გავაკეთებთ, მე მომხრე ვარ ამგვარი მოდელისა, გაკეთდეს ისე, როგორც საფრანგეთშია, როგორც მთელ ევროპაშია... ვისაც აძლევენ მოქალაქეობას, უწერენ ეროვნება - „ფრანგი“... ასე ჩაუწერონ ყველას ეროვნება „ქართველი“, თუ არა და, თუ ამის თავი არა აქვთ, მაშინ ჩვენს მრავალენოვან საქართველოში ყველას დარჩეს დაბადების მოწმობაში საკუთარი ეროვნება.

ყველაფერში ევროპელები ვართ ჩვენ, მაგრამ ამ საკითხში არა. ამ საკითხში ჩვენ ქვანიას და სააკაშვილის აზრს უნდა დავემორჩილოთ, რომლებიც უკუდო მელიებივით იქცევიან: მთელი საქართველო იყოს გაურკვეველი ეროვნებისო. მავანთა მიერ დღეს ჩადენილ ამ დანაშაულს, ხვალ მწარედ ინანებს საქართველო. გაოცებული ვარ; რატომ არ იმართება საპროტესტო დემონსტრაციები,

გაგრძელება მე-8 გვ

თენგიზ შარმანაშვილი:

70-იან წლებში საქართველოში ყველაზე მეტი „კორუმპირებული“ დახვრიტეს...

მე-3 გვერდიდან

იდეოლოგიის ხალხი იყოს.

-რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენი გაერთიანება მექანიკური არ იქნება?

- უკვე გვაქვს გარანტია. როდესაც მოახერხებენ შენი და ახალი შენი პარტნიორების წარმომადგენლები პირველი რგოლების დონეზე ერთმანეთთან თანამშრომლობას, უკვე ერთგვარი გარანტიაა.

სანამ გამოვაცხადებდით ჩვენს ალიანსს, შევამოწმეთ, რამდენად შეთავსებადი იყო ჩვენი პირველადი ორგანიზაციები რაიონებში, ქალაქებში. როცა შეიკრიბა ეს ინფორმაციები და მივიღეთ თანხმობა თითქმის ყველა პირველადი ორგანიზაციიდან, ამის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, სხვა ეროვნულ ძალებთან ეს ვერ ხერხდებოდა. ზედა რგოლებში არ იყო ძნელი ამის გარკვევა. შეუძლებელია, ძნელი იყოს ურთიერთობა ბატონ ნოდარ ნათაძესთან, ირაკლი წერეთელთან, მასთან 10-15 წლის ურთიერთობა გვაკავშირებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვედა რგოლებზე ეს არ ვრცელდებოდა და შეთავსების პროცესი არ მიდიოდა. ალბათ, უფრო მეტი დრო და ძალისხმევა იყო საჭირო ყველას მხრიდან, რომ ეს შეთავსება მომხდარიყო. შეუძლებელია ეს ფაქტორი გულს არ გწყვეტდეს, მაგრამ რეალობა რეალობაა.

-ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ თქვენს ალიანსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ზვიადისტური ორგანიზაციები დეკორაციისთვის არის საჭირო და ეს უტვინო პოლიტიკაა.

- აბა თქვენ რას ელოდით, რა, იტყოდა, რა გენიალური ნაბიჯიაო? საერთოდ, აგრესიული გამოსვლები არის მაშინ, როცა რაღაც სერიოზულზე ლაპარაკობენ. მისი ქმედება ჩვენთვის პირიქით, დადებითია. დაინახეს, რომ რაღაც სერიოზული ხდება.

„დიდგორთან“ ურთიერთობებს საკმაოდ სერიოზული საფუძვლები ჰქონდა. დისკომფორტის გრძნობა გვქონდა ორივე მხარეს. ეროვნულ მოძრაობაში ერთად ვიმყოფებოდით და რაღაც მოვლენებმა ერთმანეთს დაგვაშორა. მთელი უბედურება, ჭირი, ლხინი – ამ ხალხთან ერთად გვაქვს გადატანილი და ეს არ შეიძლება არ ყოფილიყო ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილი.

- ბათუმთან მოლაპარაკებას რომ აწარმოებდით, მაშინაც გახსოვდათ?

- მე მიკვირს, ბათუმთან ჩვენს პოლოდროინდელ მოლაპარაკებებზე ხმაურით რომ ლაპარაკობენ. მე მინდა გაგახსენოთ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც სამხედრო გადატრიალების შემდგომ ბათუმში ჩავიდა და სერიოზული ურთიერთობები დაამყარა, იყო კიორგი ჭანტურია. მე არ ვლაპარაკობ, ედპ-ში მომხდარი განხეთქილების შემდეგ რა როგორ გაგრძელდა, მაგრამ ძირითად ბირთვს ეს ურთიერთობა ამ წლების განმალობაში არ დაუკარგავს. 1992 წლიდან მოყოლებული, ეს ურთიერთობა საათითაც არ გაწყვეტილა.

-საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგების მიუხედავად, თამამად აცხადებთ, რომ არჩევნებში გაიმარჯვებთ. რა გაძლევთ ამის საფუძველს?

- ერთია, როცა აცხადებ, რომ ხარ სერიოზული ძალა, მეორეა - რეალური ფაქტები. ჩვენ მთელი საქართველო ვიცნობდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატებს. უზარმაზარი შრომა, სისხლი, ოფლი იყო ჩადებული, რომ ეროვნულ-დემოკრატები დამკვიდრებულიყვნენ. შემდეგ პარტიული განხეთქილება მოხდა. ჩვენ, ძირითადმა ბირთვმა, ნულიდან დავიწყეთ და ერთ წელიწადში მოვახერხეთ სახალხო პარტიის სახელის დამკვიდრება.

მიუხედავად იმისა, რომ ედპ-ს ჰქონდა ძველი დიდება, ადგილობრივ არჩევნებში თბილისში რამოდენიმე ათასი ხმით მოვუგეთ და უფრო მეტი მანდატი მოვიპოვეთ. ამის შემდეგ, ნუ გგონიათ, რომ ერთ ადგილს ვტკეპნით. სერიოზულად ვმუშაობთ.

ჩვენ რომ თავიდან არ გვქონოდა სახელი დასამკვიდრებელი და ხელში ის დროშა გვქონოდა, რაც 10-15 წლის მუშაობის შედეგად ედპ-ს ჰქონდა, დამერწმუნეთ, ქვეყანაზე ლეიბორისტების და სხვა ვინმეების სახსენებელიც არ იქნებოდა.

საკუთარი თავის რეკლამირებას სჯობია ციფრებით ვილაპარაკოთ. ასევე ციფრებით დაგელაპარაკებით არჩევნების შემდგომ, როცა გიჩვენებთ ჩვენს და სხვების შედეგებს.

– სახალხო პარტია გვპირდება, რომ დაამარცხებს ქვეყანაში გამეფებულ უკანონობას და კორუფციას...

– კორუფციასთან ბრძოლის ორი საშუალება არსებობს. ერთი, წმინდა სარეკლამო - გააჩაღო მინი-ტერორი, დაიჭირო 5-6 კაცი, ილაპარაკო გამუდმებით ამაზე და ხალხს უჩვენო, ჩემზე მაგარი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი არავინ არისო. შევარდნაძე ამის დიდი სპეციალისტი იყო. 70-იან წლებში მან კორუფციას ვითომ ბრძოლა გამოუცხადა და დღემდე მოჰყვება მასთან მებრძოლის სახელი. ჩემთვის ეს სასაცილოა. მე მახსოვს, საქართველოში როგორ მოიკრიფა 740000 ტონა ყურძენი (რომელიც მილიონამდე უნდა ასულიყო). ვაზის გარდა ნაძვმაც და აკაციამაც რომ მოისხას ყურძენი, ამის ნახევარ მოსავალსაც ვერ მივიღებთ. განუზომელი რაოდენობით მიდიოდა შაქარი ღვინის ქარხნებში. შედეგად შევარდნაძე სოციალისტური შრომის გმირი გახდა. ამის ფონზე კორუფციაში დადანაშაულებისთვის 4-5 რაიკომის მდივანს დაიჭერდა და დახვრეტდა. სხვათა შორის, ყველაზე მეტი დახვრეტილთა რაოდენობა კორუფციასთან ბრძოლაში, საქართველოში იყო. ეს დიდი ტრაგედიაა.

ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ ინსტიტუციონალური ცვლილებებით. კაცის ნდობაზე და კაბინეტობაზე არ უნდა იყოს აგებული პოლიტიკა. პიროვნება უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ გამჭვირვალე გავხადოთ მისი მუშაობა. ყოველ ჟურნალისტს უნდა შეეძლოს მისი ხელმოწერით გაკეთებული ოპერაციების ნახვა. არ უნდა დავუტოვოთ საშუალება, რომ გადადგას კორუფციისკენ ნაბიჯი. აშშ-ს და სხვა ქვეყნებში სახელწიფო აპარატი არის გამჭვირვალე. 1 დოლარს ვერავინ ვერ გადაადგილებს, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის და ამომრჩევლისთვის ცნობილი არ გახდეს.

ჩვენთან დეკლარაციების შევსებამ მიიღო ფორმალური და სასაცილო ხასიათი. ზოგიერთი წერს, ამდენი შემოსავალი მაქვსო, როდესაც მაგ რაოდენობის თანხას კაზინოში ტოვებს, მერე რესტორანში მიდის და აღარ ახსოვს წაგებული თანხა.

გაგრძელება მე-7 გვ

ლია წერილი

სვანეთის რეგიონში მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და პიროვნებებს

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებით არა ერთხელ გამოიკვეთა სვანეთის გლობალური პრობლემები. სამწუხაროდ, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა და პარლამენტის დეპუტატების მხრიდან ეს ყოველივე რჩება რეაგირების გარეშე, ხოლო რაიონის ხელმძღვანელობისა და პარლამენტის დეპუტატის მიერ მთავრობაში გაგზავნილ ინფორმაციებში შელამაზებულია რაიონის მძიმე საზოგადოებრივ - ეკონომიკური სოციალ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკოლოგიური მდგომარეობა და არსებითად არ ასახავს სინამდვილეს. კერძოდ, რაიონს ფაქტიურად არ გააჩნია ბიუჯეტი, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კრედიტები გაფლანგულია, ხოლო მათი დაფარვა ხდება ბიუჯეტიდან. დაუნდობლად იჩეხება სვანეთის ტყეები, ხე-ტყე საზღვარგარეთ გაედინება. მოსახლეობის ძირითადი მასა გაღატაკებულია და შიმშილის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. მიწის პრივატიზაცია მოხდა თანამდებობრივი და ფიზიკური ძალმომრეობით, კერძო საკუთრებაში გაიცა ტერიტორიები, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებია განლაგებული. მიწის არა სწორი განაწილების გამო ბევრგან შექმნილია კონფლიქტური სიტუაცია.

მწვავედ დგას ახალგაზრდობის დასაქმების და განათლების პრობლემა. ახალგაზრდებს შორის ფეხი მოიკიდა ნარკომანიამ, ლოთობამ, ქურდობამ, უიმედობამ. სკოლების უმრავლესობა ავარიულ შენობებში მუშაობს. წლების მანძილზე პედაგოგები ფაქტიურად უხელფასოდ მუშაობენ.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დაინგრა და განადგურდა ტურისტულ-ალპინისტური ბაზა „უშბის“ მთელი კომპლექსი. დაინგრა ან გადაიწვა თითქმის ყველა სახელმწიფო შენობა.

ისპობა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მორალურ-ზნეობრივი ტრადიციები, რისთვისაც სვანეთს პატივს სცემდა მთელი საქართველო. გაღრმავდა და უმართავი გახდა მიგრაციული პროცესები.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო არასწორმა საკადრო პოლიტიკამ. თბილისში მცხოვრები, მაფიოზურ წრეებთან გათქვეფილი სვანების ხელშეწყობით. რაიონის მართვა - გამგეობა ხელში არაკომპეტენტურმა ჯგუფმა ჩაიგდო, ხოლო საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები დღემდე ტარდებოდა კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის უხეში დარღვევით. არჩევნების პროცესი წარიმართებოდა მოსახლეობის მოსყიდვის, ობიექტურ ამომრჩეველზე ზეწოლისა და შანტაჟის გარემოში. საარჩევნო კომისიები დაკომპლექტებულია „რჩეულთა“ ახლობლებისა და თანამზრახველთაგან. „მიმაგრებული ამხანაგებით“, რაც, ბუნებრივია, საარჩევნო ხმებისა და შედეგების გაყალბებისთვისაა გამიზნული.

წინასაარჩევნო აქტიურობა გმოიხატება მასების გადაბირების მცდელობაში. ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეულ მოსახლეობას თავგზას უბნევენ ცრუ, ყალბი დაპირებებით, რაც იწვევს საყოველთაო დაბნეულობას. არჩევნების მოახლოებასთან ერთად აქტიურდებიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და პიროვნებები, რომელთა არსებობის შესახებ ცოტამ თუ იცის სვანეთში. ისინი, როგორც ახლაც ქილიკობენ სვანეთში, კოლორადოს ხოჭოებივით შეესევიან მანამდე და არჩევნების შემდეგაც უყურადღებოდ მიტოვებულ სვანეთს.

ამგვარი წესით ჩატარებული არჩევნებით ვიღებთ მოსახლეობისათვის არა სასურველ და საპარლამენტო საქმიანობისათვის შეუფერებელ პიროვნებების დეპუტატებად „არჩევას“ და შესაბამისად, რაიონის ხელმძღვანელობის დაკომპლექტებას თანამდებობისათვის შეუფერებელი კადრებით, საყოველთაო განუკითხაობას და ქაოსს რაიონში.

დროა, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს რაიონისადმი ასეთი დამოკიდებულება, იმ პიროვნებებისა და ოჯახების აღზევება რომელთაც არცერთ დროში არ დაუმსახურებიათ მშრომელი ხალხის სიმპათია.

პიროვნებებმა, რომლებიც ჩვენი კუთხის სახელით შევლენ პარლამენტში, სათანადოდ უნდა გაიაზრონ რაიონის მძიმე მდგომარეობა და პასუხისმგებლობის სიმძიმე. მათ უნდა ჰქონდეთ შესაფერისი განათლება, პრინციპულობა და პატიოსნება, იცნობდნენ რეგიონის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ და სოციალურ -ეკონომიკურ სპეციფიკას, პარლამენტში მოქმედებდნენ ამის შესაბამისად და არა პირადი კეთილდღეობისა და განდიდებისათვის.

არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიასა და პიროვნებას ვთხოვთ ეაცხადდეს თითოეული მათგანის ნება, ქეყნისარიტი ზრახვები და სურვილები, რომ საბოლოოდ შეწყდეს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა, მის გრძნობებზე თამაში. ერთხელ მაინც მიეცეს ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება. მოდით, ნუ გავცვლით სვანეთის აწმყოსა და მომავალს ჩვენს პირად ამბიციებზე, პირადი აღზევების სულისკვეთებაზე. გზა დაკულოცოთ ყველაზე ღირსეულს, რომ სვანეთს საქართველოს პარლამენტში ჰყავდეს ხალხის ნამდვილი წამომადგენელი.

ღირსეული კანდიდატების წარმატების სურვილითა და პატივისცემით:

1. **შოთა ჩართოლანი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრი.ისტ.მეცნ. დოქტორი**
2. **პარმენ გირგველიანი, პოლიციის მაიორი.**
3. **ნინო მახათელაშვილი, მესტიის I საშ. სკოლის პედაგოგი.**
4. **ეთერი მჭედლიანი, ჟურნალისტი.**
5. **გვანცა რატიანი, მესტიის მიხეილ ხერგიანის სახ. საშ.სკოლის პედაგოგი.**
6. **ბექარ რატიანი, მეტეოროლოგი.**
7. **ეთერ კვიციანი, დიასახლისი**
8. **ბიძინა მჭედლიანი, მეურნე**

29 აგვისტო, 1999 წელი.

საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა კავშირის

განცხადება

1995 წლის 5 აპრილს დაფუძნდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა კავშირი, რომელიც კრწანის-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა 1999 წლის 4 ივნისს.

საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა კავშირის პრეზიდიუმი თხოვნით მიმართავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა სახის სახელმწიფო პრემიების ლაურეატებს, სხვადასხვა სახის სამეცნიერო სახელობითი პრემიების ლაურეატებს, აგრეთვე ყოფილი სსრკ სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატებს, ცნობილ მეცნიერებს, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წამყვან სპეციალისტებს, გახდნენ ლაურეატთა კავშირის წევრები.

ლაურეატთა კავშირის მისამართია: თბილისი, რუსთაველის გამზ. 52, ოთახი 216, 407, ტელ. 99-93-29 (მეცნიერებათა აკადემია).

საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა კავშირის პრეზიდიუმი

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი ციინიზმისა

სიტყვა ციინიზმს უცხო ენათა ლექსიკონი ასე განმარტავს: „აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი, ისეთი რამესადმი, რაც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. თავხედური გულახდილობა“.

როცა ეს-ესაა დაწყებულ საარჩევნო ბაკანალიას უყურებ, ძალაუნებურად მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ საშინელი ციინიზმის აჩრდილი დადის საქართველოში.

ციინიზმია, მაშ რა არის, როცა ამა თუ იმ რაიონის გამგებელი თავის საგამგებლოში საკუთარი კეთილდღეობის ზრუნვაზე მეტს არაფერს აკეთებდა აქამდე და ახლა დეპუტატობაზე კი არ ოცნებობს, არამედ მკლავებდაკარწახებული პირდაპირ იბრძვის ამისათვის.

ციინიზმია, მაშ რა არის, როცა მავანი მინისტრი თუ სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკი, რომელმაც თავი ვერ გაართვა თავის დარგს, დეპუტატად დაჯდომას ცდილობს და არავინ ეკითხება, რატომ?

235 დეპუტატი გაღარიბებულ, გამათხოვრებულ და ეკონომიკამოშლილ საქართველოში - ესეც ციინიზმია.

მე, როგორც რიგით ამომრჩეველს, ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან მე ვირჩევ ამ დეპუტატებსა და პარტიებს და როდესაც ჩვენს რაიონში არჩეული დეპუტატი 4 წლის მანძილზე ოთხჯერაც არ გამოჩენილა ჩვენს მიკრორაიონში და არ დაინტერესებულა ხალხის სატკივრით, ციინიზმია, მაშ რა არის.

ამ დეპუტატის გვარიც აღარ მახსენდება, სახელს ვინღა ჩივის.

ციინიზმია ისიც, რომ ამ პატარა, ერთი ბეწო საქართველოში 70-ამდე პარტია მონაწილეობს არჩევნებში და ყველა ერთნაირად იფიცება, ხალხისა და ქვეყნის ბედზე ფიქრით დღედაღამ არ მძინავსო.

სულ სამი მიმართულება არსებობს - შემარჯვენეობა, მემარცხენეობა და ცენტრიზმი: ეს 70 პარტია კი რა მიმართულებითაც მიდის, თვალნათლივ ეტყობა ჩვენს ეკონომიკას.

მე, როგორც რიგითმა ამომრჩეველმა, როგორ ძვიცე ხელძღვრედ ხმა იმ დეპუტატებსა და პარტიებს, რომელთაც უცერემონიოდ წამართვეს ყელაზე ძვირფასი რამ - ეროვნულობა და ამით ხაზი გადაუსვეს ჩემი ხალხის მთელ ეროვნულ ისტორიასა და კულტურას. ამით მე ვიწყებ რაღაც ახალი, გაუგებარი „მოქალაქური“ კულტურისა და ისტორიის შექმნას, რომლის მსგავსი ჯერ მსოფლიომ არ იცის. ეს ხომ ციინიზმია.

ეროვნებაწართმეული ადამიანი როგორ მივიდეს საარჩევნო ყუთთან.

ციინიზმია, მაშ რა არის, ეროვნებაგაუქმებულ ქვეყანაში არსებობდეს ეროვნული სტადიონი, ეროვნული ბიბლიოთეკა და სხვა მისთანანი.

მე, რიგითმა ამომრჩეველმა, როგორ მივცე ხმა ხელმეორედ იმ დეპუტატებსა და პარტიებს, რომელნიც უსირცხვილოდ და სიამაყით მიმტკიცებენ - რა საჭიროა ეროვნულობა და პატრიოტიზმი. „პატრიოტიზმი გარეწართა თავშესაფარია“ და მათ იციან და განგებ უმალავენ საზოგადოებას, რომ ეს „შეგონება“ აღებულია ამერიკაში გამოცემული წიგნიდან „სატანის ენციკლოპედია“. დიახ, აღებულია „სატანის ენციკლოპედიიდან“ და რატომ უნდა მივცე ხმა სატანის კონცეფციების მიმდევრებს.

მე, რიგითმა ამომრჩეველმა, როგორ უნდა მივცე ხმა იმ დეპუტატებს, რომელნიც 4 წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი საბანკო ანგარიშების შესავსებად დარბოდნენ და თავს არ იწუხებდნენ პარლამენტში მოსვლითა და კვორუმის ძეფასებით .

მე არც ერთი პარტიის წინააღმდეგი არა ვარ, რომელიც თუნდაც თითს მაინც გაანძრევს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ ეს ფაქტებით უნდა დაამტკიცოს და არა სიტყვების ბრახაბრუხით.

ავიღოთ თუნდაც მმართველი პარტია. მე, რიგით ამომრჩეველს, რა უნდა მქონდეს მისი საწინააღმდეგო; აი, ევროსაბჭოში შევედით, ნავთობსადენი გაკეთდა, აბრეშუმის გზას ჩაეყარა საფუძველი და ა.შ.

ამის არდანახვა ხომ ციინიზმია.

მაგრამ როგორ ავუხსნა ეს ყველაფერი და რითი ვანუგეშო ხელგამოშვერილი მაწანწალა ბავშვები, რომელთა რიგები დღითიდღე იზრდება; რითი ვანუგეშო ხელგამოშვერილი დარცხვეული და გაწამებული მოხუცები ქუჩებსა და მეტროებში რომ დგანან და სამოწყალო თეთრებს ითხოვენ; რითი ვანუგეშო ის ახალგაზრდა ქალები, რომელნიც ბავშვებით ხელში გულისშემძვრელად გაჰყვირიან - „დამეხმარეთ, რა, დამეხმარეთ, რა“. ეს ხომ ციინიზმია.

როგორ ავუხსნა მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევროკავშირს, ნავთობსადენს, გაზსადენს და ა.შ. მათთვის ხომ მთავარი საარსებო პურის ლუკმაა, რომელიც ხშირად არსად ჩანს.

განა ციინიზმი არაა, 3 მილიარდი დოლარი ვალი და ამდენი ხელგამოშვერილი მათხოვარი, გაუცემელი ხელფასი და პენსიები.

განა ციინიზმი არაა, რაც უფრო მატულობს ქალაქის ქუჩებში მერსედესებისა და **BMV**-ების რაოდენობა, მით უფრო მატულობს სოციალურად დაუცველი ადამიანების რაოდენობაც.

სანამ ეს პარადოქსი არ მოიშლება, მანამდე შეუძლებელია ხალხს რაიმე აუხსნა. ესეც ციინიზმი იქნება.

განა ციინიზმი და პარადოქსი არაა, რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო უკან ვეშვებით.

ყველა მოსულმა და მოსასვლელმა პარტიამ თუ დეპუტატმა უნდა იცოდეს ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ნებისმიერი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისა და ღონისძიების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ხალხის ფართო მასების სოციალური პირობების გაუმჯობესება და არა ჩინოვნიკთა უცხოური მანქანებისა და ვილების მომრავლება. სხვანაირად მათი უპირატესობის მტკიცება ციინზმია.

ციინიზმია ის, რომ თუ კი პარლამენტს შეაფარა თავი მკვლელმა, მექრთამემ, ბანდიტმა, კორუმპირებულმა ჩინოვნიკმა და ა.შ. 4 წელი იგი ხელუხლებელია.

ამიტომ მიიწევენ პარლამენტიკენ ციინიკურად ციინიკოსები.

ციინზმია ისიც, რომ თითქოს გახელებული ვიბრძვით კორუფციის კიბოს წინააღმდეგ და ჯერაც ვერც ერთი კორუმპირებული ჩინოვნიკი ვერ გამოვავლინეთ.

ციინზმია ის, რომ როცა გუშინ თანამდებობაზე მოსულ ჩინოვნიკს „კალოშები“ ეცვა და ერთი ბინა ჰქონდა, დღეს მერსედესისა და 3 ბინის მფლობელია და არავინ ეკითხება - საიდან? კორუფცია არსად ჩანს.

არადა, ძნელიც არ უნდა იყოს კორუფციის გაშიფვრა, რასაც უცხოეთის მაგალითი მოწმობს.

არსებობს გაშიფვრის მარტივი საბანკო ფორმულა

- შემოსავალს-ხარჯები და გასავალი=±დაგროვებას.

როდესაც ჩინოვნიკს თვეში 200 აქვს შემოსავალი და 2000 კი ხარჯავს და ამას ვერ ამჩნევენ, ეს ციინზმია.

ციინზმია, როცა ხაზინიდან ფულს ისე არ მოგცემენ, თუ 10-15 პროცენტი არ დატოვე. ა.შ. და ა.შ.

დიახ, ციინზმი ბატონობს ყველგან და ყველაფერში და ღრღნის და ღუპავს ქვეყანას.

საქართველოსათვის დღეს სოციალიზმი, კომუნიზმი და სხვა „იზმები“ კი არაა საშიში, არამედ ციინზმი.

როგორ ვებრძოლოთ ციინზმს? პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ ე.წ. „საპარლამენტო დეტექტორი“, რომელიც არჩევნებამდეც გზას გადაუღობავს დეპუტატობის უღირს, მოხალისე მაძიებლებს.

პარლამენტი თავშესაფარი არ უნდა იყოს, არც გასართობი დაწესებულება, არც გამდიდრების ნავთსაყუდელი.

თუ დემოკრატიული საზოგადოების აშენება გვსურს, წინასწარ უნდა გავშიფროთ ვინ-ვინ არის და ვის რისთვის სჭირდება პარლამენტი; სხვანაირად ყველაფერი ისევ ციინზმი იქნება!

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ქილიკის საგანი არ უნდა იყოს უღირსი მეპარლამენტეების გამო.

ბიძინა თავაძე

საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „შუსვების“ პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციათა კონგრესის წევრი.

არჩევნები

ზამთარში გლდანელებისა ვაკელებსაც კი შეშურდებათ

ყოველ არჩევნებს რაღაც ახალი მოაქვს ხოლმე ქართველების ცხოვრებაში. ასეა დღესაც. გამარჯვების მონატრული პარტიები თუ ცალკეული დეპუტატები იხარჯებიან, ოღონდაც ამომრჩევლის გული მოიგონ... თუმცა ყველას ერთ ტაფაში შეწვა, როგორც იტყვიან, საცოდაობა იქნებოდა.

უგზობით და უშუქობით დატანჯული გლდანის მოსახლეობა წლობით ელოდა შველას, ბაგრამ განათებული ვაკე-ვერასა და გასრიალებულ რუსთაველის ბროსპექტის მსგავსზე, ალბათ, არასოდეს ოცნებობდნენ. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი აქტიური, მონდომებული არც ხელმძღვანელი ჰყოლიათ გლდანელებს და არც დეპუტატი.

- როცა დეპუტატი ხდები, ორი რამ გეკისრება, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ უნდა ემსახურო იმ ხალხს, ვინც ხმა მოგცა და აგირჩია და ამასთან, პირველ რიგში უნდა ემსახურო შენს ქვეყანას - ასე დაიწყო საუბარი შეს „კარიბჭეს“ გენერალურმა დირექტორმა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრმა თემურ გოცირიძემ.

დეპუტატების მიერ დაპირება-არშესრულებით დღეს ვერავის გააკვირვებ, ჩვენ კი ნამდვილად გაგვაოცა ერთმა ფაქტმა: ბატონი თემური გლდანში გზების დაგებას მანამდე აპირებს, ვიდრე საპარლამენტო არჩევნები მოვა...

– დეპუტატი გავხდები თუ არ გავხდები, მაინც ვემსახურები გლდანს, მინდა არჩევნებამდე ბევრი რამ გავაკეთო, პირველ რიგში კი გზების პრობლემა მოვაგვარო. გზების დაგებას გლდანულადან დავიწყებ. სახელმწიფოც აგებს ხოლმე მთავარ გზებს, მაგრამ შიდა შესასვლელი გზები კი ყოველთვის „ავიწყდებათ“. აი, ამ გზების პრობლემებიც მინდა გადავწყვიტო.

ბატონი თემური წინა საპარლამენტო არჩევნებში ისნის რაიონში იარიდა კენჭს. საკუთარი სიტყვა უკან არ წაუღია და დანაპირები უკლებლივ აუსრულა ამომრჩეველს.

-ბატონო თემურ, თქვენ ისნის რაიონის მოსახლეობა კარგად გიცნობთ. მადლიერი ამომრჩეველი, ალბათ, ამჯერად არ გაგაწბილებდათ, რამ გადაგაწყვეტინათ კენჭი გლდანის რაიონში გეყარათ?

– მე ისნის რაიონის მოსახლეობამ არ გამაწბილა. სიმართლე რამდენიმე წლის შემდეგ გაირკვა, ჩემს მეტოქეებს და მათ დამხმარეებს დავუმეგობრდი არჩევნების შემდგომ და გაირკვა ყველაფერი. თავისი პირით გამიმხილეს, ხმები გავაყალბეთო. თუმცა ვერ ვიტყვი, გული გამიტყდა და რაიონი იმიტომ გამოვიცვალე-მეთქი. ბოლო დროს ჩემი ფირმა - „კარიბჭე“ გლდანში დაფუძნდა და აქტიურ საქმიანობას ეწევა მოსახლეობის სასარგებლოდ, ამას ემატება ისიც, რომ მეც გლდანელი ვარ და თანაც თბილმეტრომშენში ვმუშაობ წლების განმავლობაში, კოლექტივი მხარს მიჭერს. აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ გადაწყვეტილება შევიცვალე.

ბატონი თემური თბილმეტრომშენის ინჟინერი გახლავთ. მისგან შევიტყვეთ იმ უზარმაზარი მიწისქვეშა მშენებლობის შესახებ, რომელიც მუხიანში მიმდინარეობს და მისი სიგრძე 500 მეტრს აღწევს. მიწისქვეშა უზარმაზარი დარბაზები! სამოქალაქო თავდაცვის მიწისქვეშა ნაგებობა და მიწისქვეშა თბოელექტროსადგური!

უკვე აღარ გვიკვირს, რის იმედზე დებდა პირობას გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი-მოსახლეობას ზამთარში დენი ექნება და გლდანელებისა ვაკელებსაც კი შეშურდებაო.

- მიწისქვეშა თბოელექტროსადგურს 3 დიზელგენერატორი აქვს. თითოეულის სიმძლავრე 1500 კვტ-ზე მეტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში მთელი გლდანის მასივს გაანათებ. ამჟამად ეს დენი სათადარიგოდ არის შენახული . მეტროპოლიტენს თუ დასჭირდება, ვაწოდებთ. ახლახანს დავასრულეთ ეს მშენებლობა და მესამე დიზელგენერატორიც ჩავრთეთ.

-მეტრომშენის თანამშრომელს, ალბათ, უკეთ გეცოდინებათ, როდის უნდა შევიდეს ექსპლოატაციაში ახალი მეტროს სადგურები?

– უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან საბურთალოს რაიონში მეტრო ექსპლოატაციაში შევა უახლოეს 1 წელიწადში.

-მუხიანის ზემოხსენებული დარბაზები რას ემსახურება?

-ლენის მიწოდებას ისახავს მიზნად:

როგორც ბატონი თემური ამბობს, ეს დარბაზები რეზერვია საჭიროების შემთხვევაში, თორემ გლდანელებმა შესაძლოა უდენობა არც უამისოდ იგრძნონ ამ ზამთარს.

– ამ დღეებში თელასის დირექტორს მაიკლ სქოულს შევხვდი. იგი დახმარებას დაგვპირდა. შეფერხებაც რომ გვქონდეს, დილით და საღამოს ოთხ-ოთხი საათით დენს მაინც მოგცემთო. ჩვენი ფირმა თელასთან ხელშეკრულებას დებს სულ მალე, მიკლის პირობა ძალაშია, თუ მოსახლეობის 65 პროცენტი გადაიხდის ელექტრო ენერგიის საფასურს, მაგრამ თუ ეს შეფერხდება, ხელშეკრულების თანახმად თელასს ამ თანხას ჩვენი ფირმა გადაურიცხავს დროებით, ამოღების შემდეგ კი უკან დაგვიბრუნებენ. ასე რომ, ვცდილობ, ზამთარში ეს პროცესები ვარეგულიროთ და მოსახლეობამ წლევანდელი ზამთარი განვლილთან შედარებით უფრო თბილად და ადვილად გაატაროს.

ბატონი თემურის საუბრიდან გავარკვიეთ, რომ მხოლოდ დაპირება არ გახლავთ მისი სიტყვა. მით უფრო, რომ ამის რეალური მაგალითი გაგვაჩნია ისნის რაიონის პირობაზე, საკმაო გამოცდილება გააჩნიათ და გამოიყენებს კიდეც. ისე კი, ბედი გვქონია, გლდანელებმა უნდა თქვან, ალბათ, - დეპუტატი ვიქნები, თუ არ ვიქნები, ჩემს სიტყვას მაინც შევასრულებო, იქადნის ბატონი თემური და ეს მართლაც ასე იქნება. მაშინ კი, ალბათ, ვაკელებს მართლა „შეშურდებათ“ გლდანელებისა...

მანანა ლობჟანიძე

ПРЕСКОНФЕРЕНЦИА

„ომალოს დაბომბვა საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ვერ მოხდებოდა“...

რუსი სამხედროების მიერ ომალოს დაბომბვის თიოქმის ერთი შეხედვით უაზრო ღონისძიებას, როგორც ირკვევა, არც ისე მარტივი საფანელი სდებია სარჩულად.

„დიდი კვლევა-ძიების“ შემდეგ, როგორც იქნა, რუსულმა მხარემ „დანაშაული“ აღიარა და ამ „შემთხვევითი“ ფაქტის გამო ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ... თუ ომალოს დაბომბვის მიზეზ-შედეგებს კარგად ავწონ-დავწონით, ალბათ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ 16 აგვისტოს მოვლენა ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ რუსეთის მუხთალი გეგმისა, რომელსაც „შემთხვევითობა“ შესანიღბად ააფარეს. ბოლოს ამგვარ შემთხვევაში აზრსაც კი კარგავს.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარის, ბატონ ნოდარ ნათაძის თქმით, როგორც მან 10 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ომალოს დაბომბვის ფაქტი გახლავთ დასაწყისი იმ ისტორიული საფრთხის აღსრულებისა, რომელიც ოდითგან იდგა საქართველოს წინაშე. როგორც სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ თქვა, „ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდალმა, გენერალმა ვალერი ჩხეიძემ განაცხადა, რომ საქართველო არ შეუქმნის დაბრკოლებას დაღესტნიდან ლტოლვილთა შემოსვლას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს განცხადება ვერ გაკეთდებოდა სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტ შევარდნაძის ნებას გარეშე, უნდა დავასკვნათ, რომ განზრახულია იმ ისტორიული ხიფათის რეალიზაცია, რომელიც ელის საქართველოს პირიქითა თუშეთის ლეკთა მიერ კოლონიზაციის სახით. შეგახსენებთ მოსახლეობას, რომ დაღესტნის ლეკური მოსახლეობა ათეული წლების მანძილზე ემზადება პირიქითა ქართული სოფლების ტერიტორიაზე დასასახლებლად, რის გამოც ომალოს ამასწინანდელ დანაძმასთან დაკავშირებით (რუსული თვითმფრინავების მიერ) ადგილობრივ მოსახლეობაში გაჩნდა და სახალხო ფრონტის მიერ ოფიციალურად გამოითქვა ეჭვი, რომ ამ ოპერაციის მიზანია პირიქითა ქართველი მოსახლეობის დაშინება და მისი სტიმულირება ტერიტორიის მისატოვებლად, რის შემდეგაც მოხდება ამ ტერიტორიის ათვისება ლეკების (ამუამად რუსეთის მოქალაქეების) მიერ, ცხადია, რომ ეს გეგმა ვერ მოიზრება საქართველოს ხელისუფლებისაგან ბუში მხარდაჭერის გარეშე.

საქართველოს ისტორიამ უცხოთა შემოსახლების ამგვარ ღონისძიებათა მრავალი მაგალითი იცის, ლეკთა შემოსახლებამ (პირველი ოჯახები ჩამოასახლა კახეთის მეფემ ლეკან I-მა XVI საუკუნეში და დააკისრა მათ ზაფხულობით მოიდან თოვლის ჩამოტანა ღვინის ჩასაციებლად) დემოგრაფიულად დააკარგვინა ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთ კახეთი (საინგილო). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემოშვებულმა სომეხმა ლტოლვილებმა ქვეყანა ქართლის სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილი შეადგინეს და ჩვენს ქვეყანას რუსული ოკუპაციისთანავე არაერთი სიძნელე შეუქმნეს. ამჟამად ასიათასობით ლტოლვილის მყოლ საქართველოში ახალ ლტოლვილთა შემოყვანა სხვაგვარად ვერ განიხილება, თუ არა როგორც ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება, რომელიც ვერ განხორციელდება საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე. ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას ამ ახალი ხიფათის შესახებ“.

ეჭვი, რომ ამგვარ ღონიძიებას საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე ვერავინ შეძლებდა, იმავითვე გაჩნდა, ხოლო ის, რომ თვით ეს ღონისძიება რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო, ეჭვგარეშეა ჯერ ერთი ამით სუსტდება საქართველო, მეორეც, იქმნება კონფლიქტის კერა საქართველოსა და დაღესტანს შორის, როგორც შექმნილია საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის დასავლეთ ზონას შორის აფხაზეთის გამო, და რაც მთავარია, სტიმულირდება საქართველოს ტერიტორიის დემოგრაფიული ათვისება იმ ელემენტების მიერ, რომლებიც დღეს რუსეთის ქვეშევრდომნი არიან და რომელთა დიდა ტერიტორია რუსეთის შემადგენლობაში შედის. ესეც რომ არ იყოს, ლტოლვილების მიღება ჩვენგან მაინც ამსურდა, რადგან საქართველოში ისეც არის სამასი ათასი ლტოლვილი, საქართველოს დაკარგული აქვს ტერიტორიები, მოსახლეობა დაუსაქმებელია და ემიგრაციის პროცესი მიმდინარეობს.

ასეთ შემთხვევაში, როგორც ბატონი ნოდარი ამბობს, ნორმალური ადამიანის ამგვარი ქმედების ახსნა შეუძლებელია, თუ ეს არ არის შევარდნაძის ადმინისტრაციის მხრიდან მორიგი ღალატი საქართველოს ინტერესებისა და ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ჰუმანისტური მოტივებით სულაც არ არის ნაკარნახევი.

კონკრეტულად რამ აიძულა ხელისუფლება ამგვარი გადაწყვეტილება მიეღო, ბატონ ნოდარს არ დაუკონკრეტებია, თუმცა თვით აზრი, რომ ლეკი ლტოლვილების საქართველოს მიერ მიღება და ომალოს დაბომბვა ერთმანეთთან შესაძლოა მჭიდრო კავშირში იყოს, სიმართლესთან ძალზე ახლოს დგას.

მანანა ლოგჯანიძე

ფინიშნა: „პირველმა არხმა“, რომელიც არც თუ მართლის მეუბნელი პარტიის რუპორია, ზემოხსენებული პრესკონფერენციის შემდეგ ბრძანა, ნოდარ ნათაძეს ავლიპი ზურაბაშვილის კონსულტაცია სჭირდებაო. პრესკონფერენციაზე გამოთქმულ თვალსაზრისზე და ფაქტებზე სავსებით პასუხისმგებელი ვარ. თუ „პირველი არხი“ და მისი პატრონები ბატონ ავლიპის მიაკითხავენ, ჩემს ჯანმრთელობაზე უფრო ზუსტი ინფორმაცია ექნებათ.

ნოდარ ნათაძე

თენგიზ შარმანაშვილი:

70-იან წლებში საქართველოში ყველაზე მეტი „კორუმპირებული“ დახვრიტეს...

მე-5 გვერდიდან

ჩვენ შევეცდებით შემოვიღოთ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც მაქსიმალურად გამჭვირვალეს გახდის ნებისმიერი ჩინოვნიკის, პოლიტიკური მოღვაწის ნებისმიერ მოქმედებას. ჩვენ გვჯერა, რომ ამას მივაღწევთ. წინა მოწვევის პარლამენტში მთელი აქცენტი ამაზე გვქონდა გადატანილი და თუ რამე იცის მოსახლეობამ, რა დარღვევები იყო, ისევ ჩვენი მეშვეობით. ყველას ახსოვს, ალბათ, ბატონების - მიხეილ ჯიბუტის და გურამ ჩახვაძის გამოსვლები,

- როგორც იურისტს, პარლამენტარ ბორის კაკუბავასთვის იმუნიტეტის მოხსნა რამდენად სწორად მიგაჩნიათ?

– ის, რაც პარლამენტის სხდომაზე მტკიცებულებების სახით მოიტანეს, არაფერს არ წარმოადგენს. კი არის რაღაც, მომავალი სამუშაოებისთვის ამოსავალი წერტილი, მაგრამ მტკიცებულების თვალსაზრისით იმდენად უსუსური რამ არის, რომ გენერალურმა პროკურატურამაც ვერ უარყო ეს და განაცხადა, არ გაგვაჩნია ისეთი მასალები, რომლითაც შესაძლებლობა გვექნებოდა მოგვეთხოვა კაკუბავას დაპატიმრებაო.

– თქვენ მხარი დაუჭირეთ თუ წინააღმდეგ წახვედით?

– კაკუბავას დამცველად მე ნამდვილად ვერ გამოვდგები. საერთოდ არ მიმიღია მონაწილეობა კენჭისყრაში. როცა რაღაც მოლაპარაკება, შეთანხმება 5 წუთში იცვლება, ამ პროცესის თანამონაწილე ვერ გავხდებოდი. შეაგროვონ მასალები, მიიყვანონ სასამართლოს სხდომამდე და თუ რამეს იპოვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მაგრამ ბევრი რამის მომსწრე ვართ, როცა საქმე დიდი აჟიოტაჟით დაწყებულა და სასამართლომდე წყალწყალა მასალა მიუტანიათ. გამოძიება საერთოდ ჩუმ, რუტინულ მუშაობას მოითხოვს. რეკლამითა და ყვირილით გაკეთებული საქმე ჯერ მე არ მინახავს.

მე მინდა გითხრათ – თუ ჩვენ მოგვეცემა საშუალება, მოვიდეთ ხელისუფლებაში და ხალხი ამას გადაწყვეტს, დამერწმუნეთ, იგორ გიორგაძეს მართლმსაჯულებამდე მივიყვანთ. და მასთან ერთად რამდენი კაცი აღმოჩნდება განსასჯელის სკამზე და რატომ იწელებოდა ეს გამოძიება, იმასაც ვნახავთ.

– სატელეფონო საუბრების მოსმენამ თავის დროზე შოთა კვირაია შეიწირა...

- უნდა შეეწირა კიდეც, არავის არ უნდა მოუვიდეს აზრად, რომ ასეთი რამე განხორციელდეს.

- ახლა რომ ოფიციალურად განაცხადეს კაკუბავას სატელეფონო საუბრის მოსმენის თაობაზე?

- მათ განაცხადეს, რომ იგორ გიორგაძეს ვუსმენდითო, რადგან მასზე გამოცხადებულია ძებნა. სრული უფლება აქვთ მოუსმინონ მის სატელეფონო საუბრებს. ასე რომ, ოფიციალურად, კაკუბავას კი არ უსმენდნენ, არამედ იგორ გიორგაძეს, რომელსაც დაურეკა კაკუბავამ.

– ?

– კი გვეცინება, მაგრამ ასეა. საერთოდ გიორგაძის ნეიტრალიზებისთვის მსოფლიო სპეცსამსახურებისთვის ნაცნობი უამრავი საშუალება არსებობს. არის ასეთი წიგნი „მოსადი“, სადაც აღწერილია ის ოპერაციები, რომელიც ტარდებოდა ისრაელის სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. წაიკითხონ ეს წიგნი და იქნებ რამე გზა გამონახონ.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბევრი მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული, რომ იგორ გიორგაძე განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს. მხილების და მხილებამდელი პერიოდი სერიოზულ ეჭვს ბადებს. მაშინ, როცა თბილისში მეეზოვეც კი ლაპარაკობდა, რომ ტერაქტების უკან იგორ გიორგაძე იდგა, მას ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენს აძლევენ. როცა ბაზრის გამყიდველებიც ამბობდნენ, გიორგაძე რუსეთის დახმარებით და საკუთარი თანამდებობის გამოყენებით საქართველოში სერიოზულ პროვოკაციებს აწყობსო, გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. ეს, ალბათ, შემთხვევით არ ხდებოდა. თუ ვინ იყო ამ ტერაქტებით დაინტერესებული, ვის იყო გიორგაძესთან ერთად შავბნელ საქმიანობაში თანამონაწილე (რომელიც ახლაც არის ხელისუფლებაში), მე მგონი, ბევრს არ უნდა ამის დადგენა. ჩვენ კი გვინდა. მოვა დრო და მე ამაში ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი რეაქცია არ დააყოვნებს და ძალიან ბევრ რამეს აეხდება ფარდა.

ამრიტა ჯანაშია

კარგი წიგნი მოსწავლეთათვის და არა მარტო მათთვის

ეს წიგნი გახლავთ „ფიზიკური და ასტრონომიული ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“. მისი ავტორია ზურაბ კაცელაშვილი, გამომცემლობა „დამანი“. წიგნის ანოტაცია მიგვითითებს, რომ „განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის: საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის“.

პირადად მე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით დაინტერესებული პირი ვარ, მაგრამ წიგნი განსაკუთრებით გამოადგებათ მოსწავლეებსა და სტუდენტებს. მასში განმარტებულია დაახლოებით 2300 ფიზიკური და ასტრონომიული ტერმინი, არც ქიმიაა დავიწყებული, არც ზოგადი ფილოსოფიური ცნებები (მატერია, მოძრაობა, დრო და მისთანები) და ანომალური მოვლენები.

ავიღოთ, მაგალითად, სტატია „მფრინავი თეფშები“. ბევრი რამ თქმულა და დაწერილა ამ თეფშების თაობაზე, ზ. კაცელაშვილი კი გვეუბნება, რომ ეს არის „ლეგენდა ე.წ. „ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე ამო“, რომელიც შეიქმნა 1947 წელს ქ. როშუელის (აშშ) გარეუბანში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, როდესაც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის მიერ გასაიდუმლოებულ იქნა კატასტროფაში მოყოლილი ახალი ტიპის სამხედრო საფრენი აპარატის, ვითომცდა დედამიწისგარეთა ცივილიზაციის კოსმოსური ხომალდის შესახებ არსებული ინფორმაცია.

ლეგენდა „მფრინავი თეფშების შესახებ შემდგომში დაიხვეწა განვითარებული ქვეყნების (აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) სპეცსამსახურების მიერ და გამოყენებულ იქნა სამხედრო-სადაზვერვო, პოლიტიკური (მასების ზომბირება) და ეკონომიკური ... მიზნით... საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე (1990 წლის 12 იანვარი, თბილისი) ეს მოვლენები შეფასდა, როგორც რუსეთის მხრიდან საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ანტიჰუმანური პოლიტიკური აქცია“.

ასეთ საინტერესო მრავალ სხვა სტატიას იპოვის მკითხველი ზ.კაცელაშვილის წიგნში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს წიგნი მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ ფიზიკისა და ასტრონომიის ყველა ცნებას, გადაჭარბებად არ მოგვეჩვენება ავტორის იმედი: „ლექსიკონი გახდება ასევე საჭირო და აუცილებელი დამხმარე სახელმძღვანელო ფიზიკით და ასტრონომიით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ვახტანგ პაიკიძე

მე-5 გვერდიდან

რატომ არ გამოდის ხალხი ქუჩაში მოთხოვნით: დავიბრუნოთ ეროვნება. ნუთუ ისე დაცვედნდა, ისე დადეედლდა ქართველი, რომ თანახმაა გაურკვეველი, რებუსური ეროვნებისა იყოს. რა მნიშვნელობა აქვს, ბატონო რეზო, ჩაწერას, სიტყვიერად ვუთხრათ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს, რომ ქართველები არიანო.

- და მაინც საით იხრება თქვენი სიმპათია?

- მარქსისტულ-ლენინისტური პარტიების მიმართ რომ სიმპათია არა მაქვს, ეს ისედაც ნათელია. რაღა დროს სსრკ-ს და ხალხთა საბჭოური მეგობრობის დაბრუნება და რუსეთთან ალიანსის დადებაა. ჩემი პოზიცია აქ ასეთია. რუსი საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო ყოველთვის და ასეთად რჩება დღეს. ამიტომ ვინც მომიწოდებს მე რაიმე პოლიტიკური კავშირისაკენ რუსეთის მიმართ, მის გვერდით არასდროს არ დავდგები. საერთოდ კი ვუთანაგრძნობ ყველა ეროვნულ პარტიას და ბლოკს იმ პუნქტებში, რასაც საქართველოსთვის სიკეთე მოაქვს.

- ბატონო რევაზ, თქვენ აფიქსირებთ თქვენს პოზიციას, რომ მხარს უჭერთ „აღორძინებას“ და საერთოდ ბათუმურ ბლოკს. აჭარას კი საყვედურობენ პრორუსულ ორიენტაციას...

- დაადგინა საქართველოს პარლამენტმა, გავიდეს რუსის ჯარი საქართველოდანო და აჭარამ უარი თქვა? არის ასეთი პრეცედენტი? დაადგინა საქართველოს პარლამენტმა, გაუქმდეს რუსეთის სამხედრო ბაზებიო და მარტო აჭარა აცხადებს უარს? ხომ არ არის ასეთი დადგენილება? ერთ-ერთი პლაცდარმი კავკასიის დაპყრობისა ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზაა, აგერ, თბილისიდან ხელის გაწვდენაზეა. სამწუხაროდ, მთელს კავკასიაში ჩვენ მიჩნეული ვართ როგორც რუსეთის მხარდამჭერი ქვეყანა, რაკი რუსეთის ბაზებია საქართველოში. ომი მიდის დაღესტანში და ხვალ შეიძლება ისევ ჩეჩნეთში აბრიალდეს ომის ხანძარი. ეს ომი უსათუოდ რუსეთის დამარცხებით, კავკასიიდან მისი წასვლით დამთავრდება. მერე ჩვენსკენ მოაშვერენ თითს, ისე როგორც გრიგოლ ორბელიანის დროს, აი ეს არის მოღალატეო, და ეს იქნება ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების „ბრძნული პოლიტიკის“ შედეგი. ისიც ალბათ ბრძნული პოლიტიკის ნაწილია, საქართველოს სისხლის მსმელს, ქართველი ბიჭების თავებით ფეხბურთის თამაშის მომწყობს, იმ საშინელი სპექტაკლის რეჟისორს – არძინბას, გაგრაში სამძიმრის დეპეშა რომ გავუგზავნეთ დედის გარდაცვალების გამო. იქნებ ისიც ბრძნული პოლიტიკაა, რომ აფხაზეთში ქართველთა ელეტის მთავარ 22 დამნაშავეზე დღემდე სანქცია არ არის გაცემული? დღეს საინტერესოდ, ამომწურავად ილაპარაკა ამ საკითხზე ანზორ ბალუაშვილმა. ცრემლი მომადგა, რა ჰქნას ანზორმა?

აჭარას აბრალებენ, შენ ლოიალური ხარ რუსეთის მიმართო. ჯემალ გოგიტიძემ ერთი კვირის წინ პარლამენტში დასვა საკითხი: ახლავე ვუყაროთ კენჭი რუსეთის ბაზების გატანას საქართველოდანო. რატომ არ უყარა კენჭი ზურაბ ჟვანიამ? იმიტომ, რომ არავითარი სურვილი არა აქვს არც ჟვანიას და არც შევარდნაძეს, რუსის ბაზები გავიდეს საქართველოდან.

ყოველ 6 თვეში ახმაურდება მასმედია, ახლა კი გაუდის რუსის ჯარებს ვადაო, მერე უცებ სიჩუმე დგება. რუსის გენერლები ინტერვიუების მიცემას იწყებენ: თუ ჩვენ არ გაგვიგრძელებენ ვადას, გავალთ საქართველოდანო. მერე გამოჩნდება ტელევიზიით ჟვანია და იტყვის: მე მგონი, ამ ეტაპზე შეუძლებელია რუსის ჯარის გაყვანა საქართველოდან, მოსალოდნელია პროვოკაციებიო. გულში იტყვის ქართველი კაცი, ვინ უყურებს ჟვანიას, აგერ არ გვყავს პრეზიდენტიო? რაკი ამერიკა წყალობის თვალით გვიყურებს, შევარდნაძე არ მისცემს თანხმობას რუსის ჯარისთვის მანდატის გაგრძელებასო. მაგრამ რა? ძალიან წყნარად, დასაბუთებულად, როგორც იცის პრეზიდენტმა, აუხსნის შევარდნაძე ხალხს, რომ რუსის ჯარის სადამსჯელო ექსპედიცია უნდა დარჩეს საქართველოში. 6 თვით ისე უგრძელდება ვადა რუსის ჯარის ყოფნას კი არა საქართველოში, მთელი ლტოლვილების ტანჯვა-წამებას, 6 თვით ისევ უგრძელდება ვადა საქართველოს ტანჯვა-წამებას, საქართველოს გენოციდს, ასე 6-6 თვით კლავენ ქართველებს. მერე გამოდიან და აცხადებენ, ისევ ჩვენ მოგვეცით ხმა, თორემ დედა გეტირებათო. სინამდვილეში არ ჭირდებათ მათ ჩვენი ხმის მიცემა, ისინი თვითონ მიიცემენ თავისთვის ხმას.

- ხომ არაფერს დაამატებთ, ბატონო რეზო, იქნებ, უფრო ოპტიმისტურ ნოტაზე დაგვესრულებინა საუბარი?

- საქართველოში ჩვენი დღევანდელი სინამდვილე არავითარი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. მე არ მაქვს სურვილი პოლიტიკოსების მოღალატეებად გამოცხადებისა. არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს ვამბობდე ვინმე საქართველოს შეგნებულად მტრობსო, მაგრამ ხომ არსებობს უნიათობა, უვიცობა პოლიტიკაში, რომელიც დღევანდელ ცხოვრებას მხარს ვერ უბამს. მე ვერ ვიგრძენი სწორი პოლიტიკის გატარება საქართველოში, ისეთი პოლიტიკისა, როგორიც ჰქონდა დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს.

მანანა ლობჯანიძე

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე:

ჩამოწეროს, ბარემ, პრეზიდენტმა ახალი პარლამენტის სია და დაგვანებოს თავი ...

უპირველეს ყოვლისა ვთვლი, რომ ქართველთა დაყოფას „ომისტებად“ და „ამისტებად“, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ამდენი უბედურება გადავიტანეთ ამის გამო, ქართველთა შეგნებული მტერი თუ გააკეთებს. მაგრამ იმისი შიშით, რაიმე იარლიყი არ მოგვაწებონო, სიცრუეს გავუჩუმდეთ და არ ვამხილოთ - არც ეს იქნება სწორი.

ახლა კი მთავარი სათქმელის შესახებ.

„მოინანიებდეთ და მიგეტევებოდეთ“, ნათქვამია სახარებაში. 14 აგვისტოს „რუსთავი-2“–ის ტელეარხით გადმოსცეს ბ-ნ თ. კიტოვანის გამოსვლა, რომელშიც სინანულის მარცვალიც ვერ დავინახეთ მის მიერ ჩადენილ საქმეთა გამო, რამაც საქართველოს ამდენი უბედურება დაატეხა თავს. თავის გამოსვლაში ის კიდევ ერთხელ შეეცადა გაუთვითცნობიერებელ ადამიანთა შეცდომაში შეყვანას და წარბშეუხრელად განაცხადა მტკნარი სიცრუე - „1991 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა გაშახურდიამ თავისი ბრძანებით ეროვნული გვარდია გააუქმო“.

ბატონმა კიტოვანმა თვითონაც კარგად იცის, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ თავი ხომ უნდა იმართლოს თავის ქვეყნის დამაქცევარ მოქმედებათა გამო, რამაც ამდენი უბედურება მოუტანა ჩვენ ქვეყანას და ისიც ცდილობს ამას. გამოუვა თუ არა, ეს სხვა საკითხია.

სინამდვილე კი ასეთია: პრეზიდენტის იმ ბრძანებაში სიტყვა - „გაუქმება“- საერთოდ არაა ნახმარი და ყველა საღად მოაზროვნეს ესმის, რომ ეს იყო პრეზიდენტის მიერ იმ მომენტში საუკეთესო კომპრომისული გადაწყვეტილება, გზა გვარდიის გადარჩენისა და მოსკოვის 19 აგვისტოს პუტჩისტების მუქარისაგან დასაფარავად.

გამახურდიას გვარდიის გაუქმება რომ სდომებოდა, ამას ისე გააკეთებდა, როგორც გააუქმეს ქართული ქვედანაყოფები 1956 წ. - მათ იარაღი აჰყარეს და ყველანი სახლებში დაითხოვეს. პრეზიდენტმა კი დაწერა ბრძანება გვარდიის შინაგან ჯარად რეფორმირების შესახებ, რაც არ ნიშნავს მის გაუქმებას.

პრეზიდენტს ასეც რომ გაეკეთებინა, ეს მაინც არ აძლევდა ბ-ნ კიტოვანს უფლებას ბუნტი და დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა მისთვის. მან ხომ ფაქტიურად დაუმორჩილებლობა და ომი გამოუცხადა არა ერთ პიროვნებას - ზ. გამახურდიას, არამედ საკუთარ სამშობლოს, რომლის 87 პროცენტმა გამახურდია პრეზიდენტად აირჩია! მან კარგად იცის, რომ მისმა „სამეგობრომ“, რომლებიც დღეს თავს ყოველმხრივ უზრუნველყოფილად გრძნობენ, დაამარცხეს არა ერთი პიროვნება - გამახურდია (რაც ფაქტია), არამედ საკუთარი ხალხი, რომლის უმრავლესობის მიერ იყო ის არჩეული. ეს რომ საკუთარი ქვეყნის დამარცხება იყო - სადავო არაა: 7 წლის შემდეგ სხვა უამრავ გადაუჭრელ პრობლემებს რომ არ შეეხოთ, ხელფასებიც კი ვერ გაუცია და ხალხი შიმშილის ზღვარზე ყავთ მიტოვებული! თანაც აქ საუბარია არა უმუშევრად დარჩენილთა ოჯახებზე (ასეთებმა თვითონ მიხედეს თავს), არამედ სახელმწიფო მოსამსახურეებზე, პედაგოგ-მასწავლებლებზე, პენსიონერებზე, პოლიციაზე და სამხედროებზე, რომელთაც 8-9 თვე ხელფასები ვერ აუღიათ და ხელისუფლება მათ სხვა გზას არ უტოვებს, გარდა გამოძალვისა. ეს, საფიქრებელია, მათგან მიზანდასახულად კეთდება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას საშუალება ეძლევა ნებისმიერ პოლიტიკურად არასასურველ პირს... კრიმინალი გამოუჩხრიკოს და ციხეში მოათავსოს. მათ ამისი უდიდესი გამოცდილება აქვთ - ერთდროულად ორ „საქმეს აკეთებენ“: არასასურველ პირს თავიდან იცილებენ და ამავე დროს ... ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ ყავთ. აი ეს ხელისუფლება არჩია კიტოვანმა ეროვნულ ხელისუფლებას!

ახლა დასკვნა თქვენ და ბ-ნმა კიტოვანმა გააკეთოს: მისმა „სვლებმა“ დიქტატურისა და დალუპვისაგან იხსნა ქვეყანა თუ პირიქით - დასალუპად გასწირა ის!

ჩემი აზრით,შედეგები აშკარად ბოლო ვერსიას ადასტურებენ!

ბ-ნი კიტოვანი რატომღაც არ ახსენებს პრეზიდენტის ბრძანებების იმ პუნქტს, რომელშიც მითითებული იყო მისი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, რაც სავარაუდოა - პრეზიდენტისადმი მისი ურჩოის მთავარი მიზეზი შეიქმნა; დაავიწყდა, რომ სწორედ გამახურდიამ „გამოიყვანა“ ხალხში და ჩააბარა ამხელა თანამდებობა; რაკი იგემა ძალაუფლებისა და კომფორტის გემო, რა თქმა უნდა, გაუჭირდა მისი დათმობა, რაც მის უკიდურეს არასახელმწიფოებრივ დონესა და სუსტ ნებისყოფაზე მეტყველებს.

ბოლოს და ბოლოს, ყველას ხომ არ მოეთხოვება გამახურდიასმაგვარი გამჭრიახობა და ქვეყნის უანგარო სიყვარული? მაგრამ მომავლისთვის მაინცაა გასათვალისწინებელი, რომ ასეთ მაღალ თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდნენ ასეთი სუსტი ნებისყოფისა და არასახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანები, როგორიც აღმოჩნდა, სამწუხაროდ, ბ-ნი კიტოვანი;

ყველა ვხედავთ, თუ რა მძიმე შედეგებთან მიგვიყვანა ყოველივე ამან, ბ-ნი კიტოვანი კი რას ზეიმობს - გაუგებარია!

ამ თარიღის „აღსანიშნავად“ წარსული ძალაუფლების ნოსტალგიით შეპყრობილს მას შემოუვლია რკონში ის ადგილები. რა გრძნობით იხსენებდა წარსულს - არ ვიცი. მე, როგორც მაშინდელი ამბების მონაწილეს, არ მინდა იმ დროის გახსენებაც კი რადგან დღევანდელ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ კრიზისს, ჯარის მდგომარეობას, რომელიც სავალალოა, იმ მოვლენების პროდუქტად მივიჩნევ!

მიუხედავად ჩემი სურვილისა დავივიწყო ის პერიოდი, როგორც ქართველთა დაპირისპირების დასაწყისი - აქედან გამომდინარე ყველა დღევანდელი უბედურებით, ბ-ნი კიტოვანის სატელევიზიო გამოსვლამ გამახსენა ზოგი რამ, რაც იქ ხდებოდა და, რაზედაც კიტოვანი, რა თქმა უნდა, არ საუბრობს. კერძოდ:

-თუ როგორ კრძალავდა ბ-ნი კიტოვანი რკონის სამხედრო ბანაკში გაზეთებისა და რადიომიმღებების შემოტანას, რათა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ ენახათ პრეზიდენტის ბრძანება და არ გაგებოთ სიმართლე გვარდიის არა გაუქმების, არამედ მოსკოვის 19 აგვისტოს პუტჩთან დაკავშირებულ ახალ გარემოებათა გამო მისი ფორმალურად შინაგან ჯარებად გარდაქმნის შესახებ და კიტოვანის სარდლობიდან გადაყენების შესახებ, რაც, დარწმუნებული ვარ, იყო დროებითი და იძულებითი ნაბიჯი, ნაკარნახევი იგივე არახელსაყრელი მოვლენებით.

- როგორ იყო ის დემორალიზებული - იქამდის, რომ პირადი შემადგენლობის წინ გამოსვლას (სიტყვით) ვერ აბამდა თავს. მის მაგიერ ამას პოლკოვნიკი ა. ცქიტიშვილი აკეთებდა. ასეთ დროს კიტოვანი გვერდით ედგა - მობუზული, უქუდოდ, გაღეღილი, თავდახრილი - კაცს ფორმის გახდა და იქედან წასვლა მოგინდებოდა. სრულიად საპირისპირო შთაბეჭდილებას ტოვებდა ა. ცქიტიშვილის გამოსვლა: შემართული, გაწყობილი, აზრიანი სიტყვითა და ომახიანი ხმით - შეხედავდი და გიხაროდა, შენც რომ სამხედრო ფორმას ატარებდი! (არავის საწყენად არ ვამბობ და ჩემი ბრალი არაა, თუ ასეთებად დამამახსოვრდნენ - და არა მარტო მე).

- როგორ იბარებდა კიტოვანი ბატალიონის უფროსებს შეკრებაზე და პირდებოდა „აყვავებას“, ოღონდ არ „მიეტოვებინათ“!

-როგორ გეგმავდა ბრძოლით ... საზღვრის გარღვევას. ოღონდ, რომ გეკითხათ, თუ ვისგან გარბოდა ეს „უშიშარი“ სარდალი - შეიძლება ვერ აეხსნა: თუ რუსისგან - რატომ და ვის იმედად ტოვებდა ქვეყანას, ხოლო თუ გამახურდიასგან - არც ის იყო მისი მტერი, რადგან ამ თანამდებობაზე მისი დანიშნული იყო და ვალდებული იყო მას დამორჩილებოდა!

ასე რომ, მისი მოქმედებანი თავიდანვე მოკლებული იყო ყოველგვარ ლოგიკას და საღ აზრს!

-როგორ გაჰყვიროდა თელავის ბატალიონის მაშინდელი უფროსი რკონის ხეობის ძნელად მისადგომ ადგილას მდებარე ეკლესიაში თავშეყრილ გვარდიელთა წინაშე: „გაუმარჯოს ბ-ნ კიტოვანს“ და მის ერთგულებაზე აფიცებდა იქ მყოფებს. ამ ფაქტს ესწრებოდნენ პოლკოვნიკები ა. ცქიტიშვილი, ზ. უჩაძე, პ. დათუაშვილი. მე, მოულოდნელობისაგან გაოცებული (არ ყოფილა წინასწარ ამის შესახებ გაფრთხილება), ვუყურებდი ამ ფარისევლობასა და უნიჭო, ქვეყნის დამღუპველ სპექტაკლს; ვგრძნობდი, რომ იბადებოდა ღალატი, და რომ ჩემი ადგილი იქ არ იყო! (იმავ საღამოს ბანაკი დავტოვე).

-როგორ მიატოვა კიტოვანის ბანაკი ამ სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე ბატალიონმა (ღამით, ჩუმად), რომელთა წევრები აღშფოთებული იყვნენ: ჩვენ ხომ ფიცი ქვეყნის ერთგულებაზე მისი ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტისთვის გვქონდა მიცემული. ხოლო კიტოვანი უნდა ყოფილიყო ისეთივე მსახური ქვეყნისა, როგორც ჩვენ! მაშ რა შუაში იყო მისდამი ფიცი? კითხულობდნენ ისინი. ალბათ ახსოვს ეს ყველაფერი ბ-ნ კიტოვანს, ოღონდ საზეიმოს ან საამაყოს მათში მე ვერაფერს ვხედავ. უფრო მეტიც - მისი 14 აგვისტოს სატელევიზიო გამოსვლა იმდროინდელი უზნეობის გაგრძელებად და მისი რეანიმაციის უტიფარ ცდად მეჩვენება. როდემდე უნდა აბრიყვებდნენ ხალხს?

პირდაპირ ვიტყვი - მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბ-ნ კიტოვანს დესტრუქციული, ანტიეროვნული და ბნელი ძალები მართავენ ეროვნულობის ნიღბით. ეს რწმენა არც დღესაა უსაფუძვლო და სამწუხაროა, რომ გრძელდება მისი მართვა იგივე ძალების მიერ. კარგი იქნება, თუ ბ-ნ კიტოვანს ეყოფა შინაგანი ძალა – სახალხოდ აღიაროს თავისი წარსული მოქმედების ქვეყნისათვის დამღუპველობა და ჭეშმარიტების გზას დაადგება. ამას ერი აუცილებლად გაუგებს!

მანამდის კი სჯობს თუ თავისი კმაყოფილი, მუდამ მომღიმარი სახით ნაკლებად გამოჩნდება ეკრანზე და გაზეთის ფურცლებზე, ვინაიდან სიმართლის თქმა მას არ სურს, (ჯერ ვერ გეტყვითო - ამბობს აშკარად ვიღაცისგან შეშინებული „უშიშარი სარდალი“, თუმც ყველა ხვდება - ვისგანაა შეშინებული), ხოლო ჩვენ სიცრუის მოსმენა მოგვბეზრდა! გარდა ამისა, თუ ის ნამდვილი პატრიოტი და არა ჩვეულებრივი კარიერისტია, დიდად დაავალებს ქართველ ერს, თუ საერთოდ მიატოვებს პოლიტიკას - საქმეს, რომლისაც მას არაფერი გაეგება, სადაც ის სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ბედის ირონიის გამო.

ზორბეგ საბმელი

უახლესი წარსული

ვის და რატომ აწყობს სიცრუის სიმართლედ გასაღება, ანუ რა ხდებოდა რკონის ხეობაში 1991 წლის აგვისტო-სექტემბერში

გაგრძელება დასაწყისი „საქართველო“ №32

16 სექტემბერი

საათობით და წუთობით მოველით გაზეთებს. ყოველ ნომერს მოაქვს რაღაც ახალი ამბავი და ყველა ამ ამბებში ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ მაინც ნათლად გვეხატება საქართველოში დატრიალებული საშინელება. დღეს უკვე გვაქვს წარმოდგენილი, რომ სამეგრელო განადგურებულია, აფხაზეთს არბევენ, გურია ჯარების ბანაკათა გადაქცეული, ზემო იმერეთი განიცდის საშინელ ტერორს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლება ხელმძღვანელობს კახეთის და ქართლის, თითქო „თავად აზნაურობის“ წინააღმდეგ, გლეხთა „მოძრაობას“ და არბევს საქართველოს კულტურულ ძალას, ფიზიკურად სპობს ერის გონებრივ საუნჯეს. თითქო რაღაც განგებ ეხლანდელი კომუნისტური რუსეთი ტყუპთ გადაიქცა 1863 წლის ალექსანდრე მეორეს რუსეთისა, როცა თვითმპყრობელობამ დაპყრობილ და დაყოფილ პოლონეთში „გლეხები“ შეუსია „შლიახტას“ და ამაყობდა, რომ ის „გლეხებს“ იცავდა“ და პოლონეთის თავადაზნაურობას ებრძოდა... ამას ამბობდა მაშინ რომანოვების რუსეთი, ნარიშკინების, ტრეპოვების, ვორონცოვების და სხვა დიდ და პატარა ფეოდალების რუსეთი, რომელსაც თავისი გლეხი მონათ ყავდა, რომელსაც თავადაზნაურული კასტა „სამართლიანობის“ უმაღლეს ტახტზე ყავდა აყვანილი და მას ღვთის ნებით აცხადებდა. და თითქო ისტორიამ დასცინა ეხლანდელ კომუნისტურ რუსეთს, რომ რომანოვთა დინასტიის ნაკეთები პოგრომები პოლონეთში, ეხლა საქართველოში კომუნიზმის სახელით გაამეორებინა.

ამაზე უდიდეს დასამარებას, ამაზე უფრო გაბახებას, ამაზე სასრცხვო საქმეს, ვერ გააკეთებენდა ვერც ერთი მტერი რუსულ კომუნიზმს. მან ამით პირწმინდათ მიკრა შუბლზე გაშიშვლებული მარკა რუსული შოვინიზმისა და ქართველ ხალხის გულიდან ამორეცხა ყოველგვარი ნდობა რუსეთისადმი. კიევლის დრო, რუსული ტირანია ისტორიას ჩაბარდება, მომავალი თაობა შეუდგება დაფასებას წარსულისა და ამ დაფასებაში საქართველოს ეხლანდელი ტრაგედია იქნება ყველაზე სასრცხვო რუსის ხალხის ღირსებისათვის.

დღეს მილებულ ქართულ „კოჰენსტ“ში მოთავსებულია პროფესორების დეკლარაცია, სადაც გმობენ ბოლდარ ამბებს, მას „ავანტიურას“ უწოდებენ და კივიან, რომ „ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგაო“. ამ დეკლარაციაზე შეიძლებოდა ბევრი რამ ეთქვა კაცს, რომ დარწმუნებული ვიყო ის მართლაც გამოხატავს ქართველ პროფესორთა გულის ნადებს, რომ ასეთ გამოსვლა მოხდარიყო ოდნავ მაინც თავისუფალ პირობებში, მაგრამ აბა რა უნდა თქვა მაშინ, როცა მთელი ერი კანონს გარეშეა კამოცხადებული და ტერორის ქვეშ ყოფნა იძულებულია დაზიხლოს ის, რაც მას უყვარს და რისთვისაც წამებას განიცდის. ეს დეკლარაცია არის ინტელიგენციის და უმთავრესად კი უნივერსიტეტის გადარჩენის სურვილით ნაკარნახევი. საშინელ მსხვერპლს, ნაბალადეგ ზეციურულ მსხვერპლს იღებენ ისინი, ვინც გულში სტირიან საქართველოს, მაგრამ სახეზე ღიმილი უკრთით, რომ დესპოტიას შეეგუონ და ცოტა მაინც კეადაარჩინონ ის ეროვნული დიდებიდან, რომელიც ცეცხლს და სისხლს მისცა დამპყრობმა რუსეთმა. ასე ვუდგები მე პროფესორთა კამოსვლას. ასე მწამს მე ის შინაური, ქართული რწმენით... და ეს ასე რომ არ იყოს, ერთი წუთითაც

წარსულის ფურცლები

1924 წლის აგვისტოს აჯანყება

ლეო რუხაძის დღიურებიდან

რომ ეჭვი მეპარებოდეს იმაში, რომ ეს არის მხოლოდ „საპარადო“ გამოსვლა და არა შინაური, ქართული, ეროვნული აღსარება, ჰო მაშინ უკვე განცდილს შეიძლებოდა მიმატებოდა იმედის ძაფები და უფსკრულს გავყოლოდი... მაგრამ მაქვს რწმენა, სადღაც შორს ჩარუსეთის შემადგენელი პროვინცია. კიდევ მეტი. თითქმის კოლონიასაც უწოდებენ მას, რადგან მოსკოვის აზრით, თუ ინგლისს და საფრანგეთს შეუძლია ყავდეს კოლონიები, რუსეთს რათ არ შეუძლია იყვეს საქართველოს მფლობელიო. საერთოთ მოსკოვის პრესა მეტად ნახევარი მანძილი დღეს განვლილია და ერს შეუძლია იმედით შეყურებდეს მომავალს. ამ იმედებს კი ერთხელ კიდევ აძლიერებს და საფუძველს უდებს ერთა ლიგის გამოსვლები და მსოფლიო დემოკრატიის მეგობრული, უანგარო თანაგრძნობა საქართველოსადმი.

მარცხნიდან მერვე ბრ. ლორთქიფანიძე, ნოე ჟორდანია, ვალიკო ჯუღელი

წოლილი რწმენა, რომ თვით ამ გარეგნულ „ღალატში“, ნაბალადეგ „რეფერატობაში“ არის უდიდესი სიყვარული საქართველოსა და მით უმეტეს მწამს, რომ ქართული მეცნიერება ვერასოდეს ვერ გამოვა საქართველოს მოღალატეთ. მძიმეა გაიგონო ასეთი წყევლა, საშინელებაა იცოდე, რომ დღეს უნდა მოგალერსოს და ალერსის ნაცვლად კი გესმის გესლიანი წყევლა, მაგრამ განა სიგიჟე არ იქნებოდა, რომ უკვე დაღვრილ ქართულ სისხლზე წაეკლათ თავისი თავიც ქართველ მეცნიერებს?! ერი იბრძვის, ის მარცხდება, მისი მხედრობა წყდება, მაგრამ ნურამც მოსწრებოდეს ჩვენი მტერი იმას, რომ საქართველოს მხედრობასთან ერთად საქართველოს ტვინიც გასრესილიყვეს! არა, თაობები შესცვლიან, ერის თავი და მისი აზროვნება მუდამ უნდა სდარაჯობდეს ეროვნულ მეცნიერების ჭურჭელს.

დღეს მოსკოვიდან რუს პატიმრებს მოუყვანდათ მნახველები. ამბავი მოიტანეს საქართველოს შესახებ დიდი მითქმა-მოთქმაო, ფიქრობენ დახვრეტილები 400 მეტიაო.

18 სექტემბერი

დღევანდელი გაზეთების ცნობით 11 სექტემბერს ჟენევაში ერთა ლიგას გამოუტანია დადგენილება საქართველოს შესახებ, რომ „გამოჟენებულ იქნეს ყველა საშუალებები, რათა საერთაშორისო უფლებათა მიხედვით აღდგენილ იქნეს საქართველოში მშვიდობიანობაო“. ამ საკითხზე მომხსენებლათ გამოსულა ფრანგი სოციალისტი პოლბინკური და ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციების სახელით მოუთხოვია საქართველოს ინტერესების დაცვა. მოსკოვის გაზეთები დორბლებს ყრიან ამის გამო და ქვას და გუნდს აყრიან „სოციალგამყიდველებს“, რომ „ერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში“... ამ უკანასკნელ ხანებში მოსკოვი უკვე აღარ მალავს, რომ ს.ს.რ.კ. იგივე რუსეთია და საქართველოც მჭლე ცნობებს გვაწვდის ევროპაში საქართველოზე აღებილ კომპანიის შესახებ, მაგრამ იმიდანაც, რაც იბეჭდება, აშკარაა, რომ საქართველოს იმმა უდიდესი გამოხმაურება ნახა მთელ მსოფლიოში და მის დასაცავად ხმა აღიმაღლა მთელმა დემოკრატიამ. დღეს ერთმა ლიგამ უკვე ერთხელ კიდევ გაუკეთა ფიქსაცია რუსეთ-საქართველოს ომს და საქართველო აღიარა სახელწიფოთ, ქართველი ერი შეიჯვანა როგორც ერთი ნაცია მსოფლიოს ერთა ოჯახში. როგორც არ უნდა იქნეს შედეგი დღევანდელი ამბებისა, ერთი ხომ აშკარაა, რომ საქართველო აღარ არის რუსეთის პროვინცია, მართალია ის დაპყრობილია, მაგრამ ის ერათ და სახელმწიფოთ არის ცნობილი, მისი მომავალი უკვე გამორკვეულია, რუსული კომუნისტური იმპერიის დანგრევა საქართველოს შესნის ტყვეობის არტახებს და ის უყოყმანოთ დაიჭერს თავის ადგილს დამოუკიდებლათ, როგორც სახელმწიფო და თვითმყოფი ერი. ეს პირველი, მძიმე და საშინელი მსხვერპლით მოპოვებული საფეხური საქართველოს სახელმწიფოთ აღორძინებისა და ძველი ისტორიული ადგილის კვლავ დაბრუნებისა, ჩვენმა ხალხმა საბედნიეროთ განვლო, ამიერიდან არავის ძალუძს ისტორიის უკუღმა შემობრუნება და საქართველოს სახის წარეცხვა. რუსეთის ეხლანდელი ცდა არის უკანასკნელი რეციდივი რომანოვთა დინასტიის პოლიტიკისა, ის უძლურია რუსეთს დაუბრუნოს ძველებურათ ასი წლობით საქართველო. რუსეთმა ამით დაისამარა თავისი თავი. საქართველოში რუსს ამიერიდან არ ეცხოვრება, თუ ის ქართველ ხალხს არ გაულეტს და სავსებით არ აყრის და რამდენათ მხეცური არ უნდა იყოს დღევანდელი მოსკოვის პოლიტიკა საქართველოში მეოცე საუკუნეში რუსეთი მაინც ვერ შესძლებს საქართველოს დაკვლას, საქართველო მაინც აღზდგება, მისი აღორძინების გზის

19 სექტემბერი

ტფილისის გაზეთები მივიღეთ. საშინელ გავლენას ახდენს ეს გაზეთები ჩვენზე. მე კი ასე მგონია, რომ გასახეთქ ყუმბარას ვკიდებ ხელს, როცა ვშლი საქართველოს გაზეთებს. კარგს ამ გაზეთებიდან არაფერს მოვლი. მას ან სიკვდილი მოაქვს, ან დამარცხება, ორივე ერთად კი მხოლოდ საშინელი სურათებით ღებავენ იმ უდიდეს კატასტროფას, რომელიც საქართველომ განიცადა რუსეთთან წაგებულ მეორე ნაციონალური ომით. ყოველ დამარცხებას ბუნებრივათ ყვება გახრწნა და დაშლა. თვით დამარცხება ასეთი დაშლა და დასუსტებაა მხოლოდ. და აი ამ დიდ დამარცხების ნაყოფს ამ რამდენიმე დღეშიდაც საკმაოთ ვხედავთ. ჯერ იყო და ხომ თავი „ისახელეს“ პარიტეტის წევრებმა, როცა ხელი მოაწერეს ჩეკაში ისეთ უმსგავსო დოკუმენტს, რომელსაც ეხლა მტერი ყოველ გზაჯვარედინზე, შინ და გარეთ, ყველა პირში აჩრის. თითქო რაღაც პარადოქსალური და სინამდვილიდან სრულიად დაშორებულია ეს განცხადება ჩვენთვის აქ. ჩვენ ხომ არ ვიცით საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ მტრის გაზეთებიდან მიღებულ კანტი-კუნტი ცნობებიდანაც კი აშკარა ხდება, რომ საქართველოში აგვისტო-სექტემბერში მომხდარი ამბები იყო უდიდესი ხალხური, ეროვნული, ენთუზიაზმით აღსავსე მოძრაობა. ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება აქ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ სრულ იზოლაციაში ვართ სამშობლოდან და ცოცხალ კაცსაც კი არ აქვს ნება ჩვენთვის რაიმე ამბავი მოიტანოს. ასეთ შთაბეჭდილებას ღებულობენ აქ მყოფი რუსი პოლიტიკურებიც. თითქო ჩვენ უნდა ვიყვეთ ისეთ მდგომარეობაში, როცა შეიძლება აყვე მტრის ხმას და მან რომ „ქურდი“ გიწოდოს, შენც უნდა დარწმუნდე ძალაუნებურათ, მაგრამ ჩვენც კი ვხედავთ ამ აშკარა, მკვრალა და თვით ბრმათათვის დასანახ დიდ ისტორიულ ფაქტს, რომ ქართველი ერი გმირულად ებრძოდა დამპყრობ რუსეთს. და როცა ხელმძღვანელები აწერენ ხელს მტრის მიერ შედგენილ საძაგელ დოკუმენტზე, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს ხელმძღვანელები არ არიან იმ დიდი და გმირი ხალხის ღირსი, რომელიც ესოდენ რაინდი და თავგანწირულია თავის ნაციონალურ სახის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. რასაკვირველია, როცა ამას ვამბობ, მხედველობაში მაქვს, რომ ეს დოკუმენტი მართლაც ხელმოწერილია იმთგან, ვისი სახელითაც ის რუსეთმა გამოაქვეყნა, ხოლო რომ არის უდიდესი შანსები, რომ ეს დოკუმენტი „პოდლობის“ ელემენტს ატარებს, ამაზე ეჭვიც არ შეგვაქვს. ყოველ შემთხვევაში მომავალი გვიჩვენებს სინათლეს. თითქო ბუნებრივად გამომეხმაურა გიზო ანჯაფარიძე ამ საძაგელ დოკუმენტს და დასწერა არა ნაკლებ საძაგელი და სასირცხვო დოკუმენტი. „ქართველმა ხალხმა დღესაც, როგორც ასი წლის წინათ ხმა მისცა რუსეთის ორიენტაციასო“. როცა კაცი წახდება, მას ყველაფერი მოუვა, მაშინ უმჯობესია სთქვა სიმართლე, რომ გქონდა სამართლიანი მიზანი, ხოლო დამარცხდი და დამარცხებული კი მტერთან ყოველთვის მტყუანია. გიზო ანჯაფარიძე ისეთი ჩერჩეტი არ არის, რომ იფიქროს, თითქო პატარა საქართველოს შეეძლოს გაუმკლავდეს უზარმაზარ და მრავალმილიონიან რუსეთს, საქართველოს დამარცხება რუსეთთან ომში ბუნებრივია, მაგრამ საქართველოს, პატარა ერის გმირობა და თავდადება სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ ის ბედავს წინააღმდეგობის გაწევას, ის მომხდურს პასუხს აძლევს, როცა წინასწარ იცის, რომ ერთთან ერთი ის ვერას გახდება უძლიერეს რუსეთთან და თავის თავგანწირულ თავდაცვით პატარა ერი ელაპარაკება მთელ კაცობრიობას: „მე პატარა ვარ, მაგრამ მინდა სიცოცხლე და მაქვს ამის უფლება ისე, როგორც დიდ რუსეთს აქვს უფლება და უნდა სიცოცხლე. მე ვერ გაუმკლავდები მის ძლიერებას, მაგრამ მინც ვიღებ ხმალს ხელში და ვიცავ ჩემს უფლებას და შენ, კაცობრიობავ, გელაპარაკები, გამომესარნლე სუსტ და პატარას, აღიმაღლე სამართლიანობის ხმა, რადგან ჩემი წინასწარ განწირული გაბრძოლება ხმა მაღალი მოწოდებაა მთელი ქვეყნისადმი სამართლიანობისათვის, უფლებისათვის, თანასწორობისათვის“. ასეთი მოწოდება იყო ჩვენი ომი 1921 წელში და ასეთივეა ის დღეს. ჩვენ მაშინაც დაემარცხდით და დღესაც. ერი დაიმორჩილა რუსეთმა, მაგრამ ერმა დაღვრილი სისხლით და ამ ომებით სთქვა, რომ მას არ უნდა რუსეთთან ყოფნა, მას უნდა თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა. ასეთივე იყო ქართველი ხალხის ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, საქართველო თავის ომებით მაშინაც ეუბნებოდა რუსეთს: „როგორც დამპყრობი, მეზიზღებიო“, მაგრამ ომებში დამარცხებული ის იძულებული იყო ქედი მოეხარა და 117 წლის განმავლობაში მონის და დაჩაგრულის უღელი ეზიდა. და ასეთ დამორჩილებას ასეთ საზიზღარ დაპყრობას, ერთის მხრით და დამარცხებას მეორე მხრით გიზო უწოდეს, „რომ ქართველმა ხალხმა გამოსთქვა, თავისი სურვილი ორიენტაციაზეო“. დიდი ისტორიული ამბების დაფასებაც ასეთი უნდა!... მაგრამ როგორც არ უნდა ნაღრძობთ არ დაიწეროს დღეს დამარცხებული საქართველოს „ისტორია“, არავის ძალუძს ამოფხიკოს ის სისხლიანი ლაქა, რომლითაც საქართველომ ერთხელ კიდევ უთხრა დამპყრობ რუსეთს: „როგორც დამპყრობი მეზიზღებიო“.

ДЕДИУРЕБИ МОГВАЖОДА ИСТОРИКОСМА БРИГОЛ ЗАРДУАМ

გაგრძელება იქნება

ინტერვიუ

ფიქრია ჩიხრაძე:

ეროვნულ ინტერესებზე საუბარი „ქაჯობა„ და „გოიმობა“ ჰგონიათ

-თქვენს ალიანსზე სხვები ბევრს ლაპარაკობენ, თქვენ - ცოტას.

- ლაპარაკი დღიდან დაარსებისა ძალიან ბევრია ჩვენს მოძრაობაზე, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები ისმის პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან. მე შემიძლია ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი განცხადება გამიზნულად და შეგნებულად არის გაკეთებული, რათა ჩვენს ელექტორატში შეიტანონ დეზორგანიზაცია. რაღაც მცდელობა არის იარლიყების მოწებებისა. რაც შეეხება თვითონ ჩვენს დამოკიდებულებას, ჩვენ მართლაც არა ვართ სიტყვაუხვი ხალხი. ქართულ პოლიტიკაში ასეთი ტენდენცია არის - რაც უფრო მეტს ლაპარაკობს ადამიანი (მე არ ამბობ რაღაც კონსტრუქციულ ლაპარაკზე, ძირითადად ერთმანეთს ლანძღავენ, საშინელ ლაფს ისვრიან ერთმანეთის მისამართით), რაც უფრო მეტ ლაფს ისვრი სხვის მიმართ, მით უფრო მაგარი ხარ და მეტ ქულას იძენ. ამ ლაფის საპასუხოდ მეორე მხრიდანაც იგივე მოდის. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოში წავიდა ის დრო, როცა ქულების მოგროვება სხვისი ლანძღვით შეიძლებოდა. სულ ვამბობ, რომ თითოეული ორგანიზაციის აქტივში იმდენი ლაფი გროვდება, აქედან ნახევარი ან თუნდაც 25 პროცენტი სიმართლესთან ახლოს რომ იყოს, ამ ტიპის ორგანიზაციებს პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ეს, ალბათ, ნორმალურად პოლიტიზირებულ საზოგადოებაში, ჩვენთან, საპასუხოდ, ჯერჯერობით არანორმალური პროცესები მიდის. ჩვენ იმთავითვე ვთქვით, რომ ლანძღვას არავისას არ ვაპირებდით, რადგან რომც დაგვეპირებინა, ლანძღვაში ისეთი დაოსტატებულები არიან, ნამდვილად ვერ ვაჯობებდით. არც ვაპირებთ ამ მიმართულებით გაჯიბრებას.

ჩვენს ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ერთ წელსაც არ ვითვლით არსებობისას, ამ 5-6 თვის განმავლობაში სერიოზული კომისიური მუშაობა ჩატარდა ყველა მიმართულებით, საპარლამენტო კომისიებშიც კი არ მიდიოდა ამ ტიპის აქტიური მუშაობა, ეს იყო საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ეკონომიკური კუთხით, განათლებისა, კულტურის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის კუთხით. სერიოზული დოკუმენტები იქნა შემუშავებული, რომელთა შეჯერების საფუძველზე ჩამოყალიბდა ორგანიზაციის ერთიანი პლატფორმა, რომელიც დაიბეჭდა კიდეც და შეძლებისდაგვარად გაეცნო მოსახლეობას. მე ვფიქრობ, რომ ამით ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი სერიოზული დოკუმენტი შეიქმნა.

კონკრეტულად ძალიან მძიმეა სიტუაციაა. ამის გამუქება ჩვენს მოსახლეობას აღარ სჭირდება, რადგან ყველამ თავის თავზე და ოჯახზე გამოსცადა უკიდურესი სიდუხჭირე. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ აპათიაში კი არ უნდა ჩაგდო, რეალურად შესთავაზო შენ, პოლიტიკაში ყოფნის პრეტენზია რომ გაქვს, მოსახლეობას კრიზისიდან გამოსვლის გზები. ჩვენი დღევანდელი ალიანსი ამ მხრივ არის სწორედ მნიშვნელოვანი, რადგან ამ ალიანსში შეიკრიბა ის ხალხი, მრეწველების სახით, რომლებიც აბსურდულ დაპირებებს კი არ იძლეოდნენ, იგივე სამუშაო ადგილებთან დაკავშირებით. მათ ძალიან მძიმე საგადასახადო გარემოში მოახერხეს ის, რომ მართლაც რეალურად შექმნეს სამუშაო ადგილები. დღეს ძალიან ცოტა საწარმო მუშაობს საქართველოში, მაგრამ რაც მუშაობს, იძლევა იმის იმედს, თუ სერიოზული ხელისშეშლა არ ექნება, იგივე მაკონტროლებელი ორგანოებისაგან, დაწყებული საქმე, და არა დაპირებული, უფრო ნორმალურად გაგრძელდეს. ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ჯერ ეკონომიკურად დადგეს ფეხზე საქართველო, მერე – ყველა ის პრიორიტეტი, რაც ჩვენს პლატფორმაშია - სოციალური გარემოს გაუმჯობესება, აფხაზეთის პრობლემების მოგვარება და დარეგულირება. სახელმწიფო ეკონომიკურად უნდა დადგეს მყარად, ქვეყანაში არ იყოს პენსიების და ხელფასების დარიგების პრობლემა, და ეს ხელფასები და პენსიები არ იყოს იმდენად მწირი, რომ მის ქონას აზრი არ ჰქონდეს.

- თუ ბასილია თქენთვის ერთგვარი დაბრკოლება იყო, მრეწველ თოფაძესთან, რომელიც კანონს არ ემორჩილება, ალიანსი რამდენად მომგებიანი იქნება თქვენთვის?

-საინფორმაციო საშუალებები აქტიურად ცდილობენ, რომ ეს ასე წარმოაჩინონ. ბასილიას გასვლა მის სურვილზე იყო მთლიანად დამოკიდებული. თემური ერთ-ერთი იმათგანია, ვის ზურგზეც გადაირა ამ ორგანიზაციის შექმნამ. არავის უფლება არ ჰქონდა შიგნით და მითუმეტეს, გარედან ეთქვა, შენ წადი, იმიტომ, რომ რაღაც ნაბიჯები უნდა გადაიდგას. მან ეს ნაბიჯი თავისი სურვილით გადადგა. და ბევრად მეტად იმის გამო, რომ ვინაიდან ის წარმოადგენდა სოციალური ინვესტიციების ფონდს, დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა იმ კუთხით, თითქოსდა ამ ფონდს ვიღაცა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებდა. რატომღაც მოქალაქეთა კავშირს ჰგონია, რომ ყველაფერი მათ უნდა გამოიყენონ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის.

რაც შეეხება მრეწველებს და მათ კანონმორჩილებას, მინდა ვთქვა, რომ არათუ საქართველოში, განვითარებული და მყარი ეკონომიკის ქვეყნებში გადასახადის გადახდა არც ერთ მეწარმეს არ ეხალისება. მაგრამ მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არ შემხვედრია მსხვილი და წვრილი მეწარმე, რომელიც დაინტერესებული არ იყოს, რომ აბსოლუტურად მოწესრიგებული და გამართული ჰქონდეს თავისი საგადასახადო სეგმენტი. მათ უნდათ, იყოს რეალური გადასახადები, რომელსაც გადაიხდიან რეალურად, ათასნაირი შანტაჟის, ზეწოლის და ცუდი კონტროლის მექანიზმების გარეშე. მათ თუ აქტიურ პოლიტიკაში გადაწყვიტეს ჩაბმა, ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ რაღაცნაირად მოახდინონ ლობირება, შეიქმნას ნორმალური საგადასახადო რეჟიმი, ნორმალურ საგადასახადო რეჟიმში ნორმალურად არსებობდეს მეწარმე, და არ უხდებოდეს „ტრიუკების“ გაკეთება - შემოსავლები დამალოს ან დასწიოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქტიურად დავეხმარებით. ჩვენი პოლიტიკური მხარდაჭერა მათთვის ამ პროცესში ძალიან დიდი იქნება.

- გოგი თოფაძემ საერთო ენა ვერც „სახალხოსთან“ და ვერც ლეიბორისტებთან ვერ გამონახა...

- ლეიბორისტებთან რომ ვერ გამონახავდა, იმთავითვე დარწმუნებული ვიყავი. საერთოდ, ეს კონსულტაციები ლეი-

გაგრძელება მე-11 გვ

„ელექტროკავშირმა“ შესაძლოა არჩევნებამდე „ტელეკომს“ სასამართლოში უჩივლოს

აგერ უკვე ათიოდე წელია წითელი მეტალიტეტის თავიდან მოშორებას, ცხოვრების ახლებურად მოწყობას, სხვების მაგალითზე გაკვალული გზებით სიარულს ვცდილობთ ქართველები, მაგრამ როგორღაც სულ უფრო და უფრო უკან მიგვდის საქმე. ყელა სყერო უფსკრულისკენ მიექანება, ჩვენ კი ნაცვლად იმისა, რომ გამოვფხიზლდეთ და „ყური შევიბერტყოთ“, დანაშაულის და შეცდომების ერთმანეთისთვის გადაბრალებას ვუდღებით. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, ნათქვამი აქვთ დიდი ხნის წინათ ქართველებს და ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ დღესაც რატომღაც, თითოეული ქართველი, თითოეული საწარმო თუ ორგანიზაცია ცალკეული ნაწილი რომაა საქართველოსი, ეს კი გვავიწყდება. სხვისი დაზარალებაც დღეს რომ გულს არ გვიჩუყებს, ხვალ უკვე ჩვენვე დაგვაზიანებს, აღარ ვფიქრობთ...

თუ რამ გაიყიდა, „გაპრივატიზდა“, ხომ ეშველა, (ვაი ამ შველას) რაც არადა... სახელმწიფო ქონებას ჯერ ისევ მეწველ ძროხასავით შეეცქერით და მოფრთხილება ფიქრადაც არ მოგვდის.

მიზეზთა და მიზეზთა (?!) გამო ერთადერთი თეთრი ლაჯა საქართველოს ელექტროკავშირის განვლილ, ერთი წლის ცხოვრებაში ატეეს-78-ის გახსნა გახლავთ მხოლოდ. ისიც დიდი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარების და დიდი ვაი-უშველებლის შედეგად მოხერხდა. ამ სატკივარით კი თვით „ელექტროკავშირის“ დირექტორის გარდა არავინ არც დაინტერესებულა, არც შეწუხებულა.

- ძირითად საშუალებებზე, რომელსაც „ელექტროკავშირი“ იყენებდა თავის საქმიანობისათვის, ჩვენ 5,3 პროცენტ საბაჟო გადასახადს ვიხდიდით მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე, პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები, სადაც განაკვეთს დღეც დაემატა და გადასახადი 26,36 პროცენტი გახდა. რას ნიშნავს ეს? - ჩვენ ხმამაღლა ვითხოვთ ინვესტორის მოყვანას. კი, ბატონო, ვთქვათ, მოვიდა ინვესტორი და 100 მლნ-ის ინვესტიცია ჩადო ტექნიკის სახით. ინვესტორი ნაღდი ფულის მოძრაობას ერიდება, მე არ ვიცი შემთხვევა, ვინმეს ასეთი ოდენობით ნაღდი ფული შემოეტანოს... ადნიშნულ საგადასახადო კოდექსში ცვლილების შემტანი „მეგობრები“ ეუბნებიან ინვესტორს 100 მლნ-ის პროდუქციაზე 26,5 პროცენტი ნაღდი ფული გადაიხადეო საბაჟოზე... შანსი, რომ ამ თანხას ინვესტორი გადაიხდის, ნულს უტოლდება, „ელექტროკავშირს“ კი 26 მლნ რომ მისცა, ინვესტორი სულ არ სჭირდება, ასე რომ, მიმიხვდით, ალბათ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, საერთოდ უნდა განხორციელდეს თუ არა ინვესტიციები - ამბობს „ელექტროკავშირის“ დირექტორი ილია კუბეცია.

უცნაური, გაუაზრებელი, არამომგებიანი კანონები ბევრი გვაქვს. მაგრამ მარტო კანონს ყველაფერს ხომ ვერ დავაბრალებთ. პირველ რიგში დამნაშავე ამ კანონის მიღებია, მერე კი – შესრულების მიხედვით.

ყველაზე დიდი უბედურება „ელექტროკავშირის“ ცხოვრებაში გულგრილი დამოკიდებულება გახლავთ მისი პრობლემის მიმართ. საბიუჯეტო ორგანიზაციებს ამ უკანასკნელის დავალიანება 1200000 ლარი აქვთ და ვერ იხდიან. „ელექტროკავშირს“ კი ისრაელის ერთ-ერთი ფირმა 5 წლის ვადით ვალად ტექნოლოგიას სთავაზობს, რომლის საქართველოს საბაჟოზე შემოტანა 600000 ლარი ჯდება. ტექნოლოგიის შემომტანი თანახმაა, გადაიხადოს ეს თანხა, მაგრამ ჩათვლის სახით. კატეგორიული უარი საბაჟოს მხრიდან ეჭვის საბაბს ნამდვილად გვაძლევს. საბაჟო გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა, თუ მავანთა პიროვნული დაინტერესება არა, რატომ ხდება შეუძლებელი ჩათვლის სახით ბიუჯეტმა ვალი გაუსტუმროს „ელექტროკავშირს“?

ამ ორგანიზაციის უბედურებათა რიცხვს საგადასახადო კოდექსის კიდევ ერთი უცნაურობაც ემატება. სახელმწიფოს აქვს უფლება მისგან მოითხოვოს ბიუჯეტში თანხის გადახდა, აქვს უფლება დაარიცხოს სანქცია, თუ ამ თანხას არ დაფარავს, მაგრამ კონკრეტულ ორგანიზაციას რატომ არ აქვს უფლება აირჩიოს საკუთარი ნებით ან გადასახადის დროული გადახდა, ან ჯარიმა?

-როცა სანქციაზე პროცენტები სწერია, ეს თავისთავად უნდა მაძლევდეს უფლებას, რომ არჩევანი გავაკეთო. არის ზოგჯერ შემთხვევა, მწყობრიდან გამოდის კაბელი ან მოწყობილობა და სასწრაფოდ გვაქვს საყიდი, ასეთ შემთხვევაში დროებით ბიუჯეტში თანხის შეტანაზე მეტად სანქციის დარიცხვა გვაწყობს, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევენ. მე დარწმუნებული ვარ, ასე დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია. ეს არის ბიუჯეტში შენატანების ხელოვნურად დაჩქარების გზა - ჩივის ბატონი ილია კუბეცია.

თუმცა, არც ამით ამოიწურა „ელექტროკავშირის“ პრობლემებზე საუბარი. პრობლემათა სიას სათავეში ერთ-ერთი საბიუჯეტო ორგანიზაციათა დავალიანება უდგას და ქმედითი ღონისძიებაც გატარებულია. ბ-ნმა ილია კუბეციამ არჩევნებს დაასწრო და დავალიანების მქონე ტელეფონები გათიშა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი... „ელექტროკავშირის“ დირექტორის განსაკუთრებულ აღშფოთებას კავშირგაბმულობის ობიექტების დიდი ოდენობით დავალიანება იწვევს.

-რბილად რომ ვთქვათ, ოპერატორებს, რომლებთანაც ჩვენ ურთიერთობა გვაქვს, დაავიწყდათ, რომ თანხა აქვთ გადასახდელი. ისეთი კატასტროფული სიტუაცია, როგორც „ტელეკომთან“ ურთიერთობაში გვაქვს, უბრალოდ წარმოუდგენელია. ჩვენი დებიტორული დავალიანების 50 პროცენტი სწორედ მასზე მოდის. საბიუჯეტო ორგანიზაციებს შესაძლოა არჩევნებამდე კიდევ ვაცალო, „ტელეკომს“ რაც შეეხება, შეიძლება არჩევნებს არც დაველოდო, სასამართლოში ისე წავიდე ... - ასე გამოხატავს უკმაყოფილებას „ელექტროკავშირის“ დირექტორი.

დღესდღეობით „ელექტროკავშირს“ საქართველოში მონოპოლისტს ეძახიან. ყველაფერი უცნაური რატომღაც ჩვენთან ხდება. მსოფლიოში არ არსებობს მონოპოლისტი ორგანიზაცია, რომელიც ამით ზარალდებოდეს.

– ფაქტიურად მე არ მაქვს ტარიფზე ხემოქმედების უფლება, ჩემი ტარიფი თვითღირებულებაზე 4-ჯერ ნაკლები. მაგრამ ამის გაგება არავის არ უნდა, კერძო სტრუქტურებს შეუძლიათ დღეს გადაწყვიტონ საკითხი თავის სატარიფო განაკვეთების შესახებ და ხვალ ძალაში შეიყვანონ. ეს კონკურენცია არ გახლავთ - ასეთი პასუხი გაგვცა ბატონმა ილიამ, როცა კონკურენციის საკითხით დავინტერესდით, მან გულახდილად აღიარა, რომ ახალი ქსელების მომსახურება გაცილებით მაღალი დონისაა, რადგან ტექნოლოგია ახალი აქვთ, „მონოპოლისტ“ ფირმას კი სამუზეუმო ექსპონატებით - ანტიკვარული ატეესებით უწევს მუშაობა.

ბუნებრივია, მომხმარებელს უკეთესი მომსახურება ურჩევნია და აბონენტის ამ მოთხოვნილების შეჩერება „ელექტროკავშირს“ არ ძალუძსო, - გვითხრა მან.

ყველაზე მტკივნეული თემა „მონოპოლისტი“ ფირმის ცხოვრებაში მაინც შელავათები გახლავთ. ისევ კანონის უცნაურობასთან მიეედით რატომღაც.

– „ელექტროკავშირი“ საბოლოოდ სოცუზრუნველყოფის, თავდაცვის, უშიშროების სამინისტროს დანამატი გახდა ისე, რომ მათ არც კი იციან - მწარე ხუმრობით გვითხრა ბატონმა ილიამ, - დარწმუნებული ვარ, ვინც კანონით გათვალისწინებული შეღავათები უნდა განახორციელოს, წარმოდგენაც არა აქვს, რა წერია ამ კანონში. ინვალიდი, აფხაზეთში, სამაჩაბლოში მებრძოლები და მათი ოჯახები გადასახადებისაგან თავისუფლდებიან... სახელმწიფოს ხარჯზეო. დღემდე ვეძებ და ვერ მივაკვლიე ამ სახელმწიფოს. ფულის გადახდა არავის უნდა.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო - ნათქვამია. არც „ელექტროკავშირის“ პრობლემების შენდობას აპირებს ვინმე, როგორც ჩანს, ერთ მშვენიერ დღესაც გაკოტრებული მხოლოდ დებიტორების ამარა დარჩენილი ორგანიზაცია მუშაობას რომ შეწყვეტს და უტელეფონოდ, ფასიანი ძვირადღირებული „მობილურების“ და „ახალი ქსელების“ ამარა რომ დატოვებს ჯიბეგასქელებულ საქმოსნებს, ხელმძღვანელებს, გუბერნატორებს და ყველას მათ, ვისაც „ელექტროკავშირი“ „შინაურ მღვდლად“ მოსჩვენებია, მაშინ ვითუ უკეთ გვიან იჭნეს?!

მანანა ლოგჯანიძე

პატრიოტიზმის პრაქალული ხიბლი

ანუ" როგორ წაიკითხა მგელმა სახარება და როგორ შეუმჩნევლად დაესხა თავს ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებაში მხილებული ემანუილ კანტს

აუტანელია ხალხია ეს მორალისტები.

ყოველთვის არა, მაგრამ ზოგჯერ იმისთანა უცნაურ რამეს იტყვიან, თმა ყალყზე დაგიდგება.

რაღა შორს წავიდე - რამ ათქმევინა, მაგალითად, ლევ ნიკალაიჩ (როგორც შინაურობაში უხმობდნენ) ტოლსტოის პატრიოტიზმი გარეწრის უკანასკნელი თავშესაფარიაო!

ისე, იმან კი თქვა, ლევმა, ტოლსტომ, მაგრამ ღმერთმა დამფაროს, ახლა ამას ჩემდა თავად თამაზზე ვამბობდე, ელიზბარაშვილზე, ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებაში მხილებულ ფირმა „ელიზის" პრეზიდენტზე. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა (პატრიოტობამ) და გამახსენდა.

ჭეშმარიტად უკიდეგანოა და ამოუწურავი „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, მზის მხურვალება გარს რომ ავლია"...

წარმოგიდგენიათ, ეს კაცი, ფირმა „ელიზის" პრეზიდენტი, ყაჩაღური ბანდის ორგანიზებაში, თოფ-იარაღით მილიონების გატაცებაშია მხილებული, სასამართლო პროცესზე კი, რომელიც შემდგომ ნამდვილ სამედიცინო კონსილიუმად აქცია, ისეთი პათოსით შეუდგა ქადაგებას მამულის სიყვარულსა და ზენობაზე, რომ დარწმუნებული ვარ, თუ იმ ქვეყნად მართლა რამე არსებობს, სხვისი არ ვიცი და საწყალი ემანუილ კანტი საფლავში ორ-სამჯერ მაინც გადაბრუნდებოდა!

და მაინც, ვაღიარებ: იმ ქვეყნად რა ხდება, დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ელიზბარაშვილს რომ უნდა ამქვეყნად ყველაფერი, მათ შორის სამშობლოს სიყვარულსა და ზნეობაზე საყოველთაოდ მიღებული შეხედულებანი, ყირაზე დააყენოს, ეჭვი არ მეპარება.

თავისი ჭკუით, მან ეს შანხი რამდენიმე დღის წინ წარმატებით გამოიყენა თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე. და ეს ხდება ლამის ორი წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც თავით ფეხამდე შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფი ღღისით, მზისით თავს დაესხა ფირმა „ომეგას" თანამშრომლებს და პოლიციამ ბორტმოქმედები არსებითად, ცხელ კვალზე დაიკავა.

თავად თამაზ ელიზბარაშვილი ამ საქმესთან დაკავშირებით 1997 წლის 5 ივნისიდან ბრალდებულად, 1999 წლის 29 აპრილიდან განსაკუთრებულად არის ცნობილი, მაგრამ თუ ასეთი მგზნებარე სამშობლოს მოყვარული და ნაწილობრივ მორალისტი იყო, ეს არა მარტო , ასე ვთქვათ, ფართო საზოგადოებისათვის, თვით ახლობლებისთვისაც მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი.

აფსუს, რა დრო და ნიჭი დაკარგულა ამაოდ და ფუჭად!

მე რომ მკითხოთ, ჩვენს სამართლადამცავ ორგანოებს იგი მარტო ამიტომ არ უნდა გაეშვათ საკნიდან, როცა დაპატიმრებული იყო. დასვი (ან, თუ გინდა, ჩასვი) ამისთანა მჭევრმეტყველი კაცი, სადაც მისი ადგილია, მერე საჯაროდ აქადაგე სამშობლოსა და პატიოსნებაზე და ასმინე ხალხს, თუ გინდა რამე ეშველოს ქვეყანას!

-ო, ეს არგასაშვები! - იტყვი შენ, მკითხველო და გულდაწყვეტილი იკითხავ, მაინც სად იყო ამდენ ხანს, რატომ არ ცხადდებოდა სასამართლოზე ეს, როგორც უკვე ხაზგასმით აღინიშნა, ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებაში მხილებული მგზნებარე პატრიოტი და ნაწილობრივ მორალისტი?

ამ მტკივნეულ კითხვას მან სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში თვითონვე გასცა პასუხი, ოღონდ, ცხადია, ისე, როგორც უჯობდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ესოდენ საჩოთირო საქციელში მისთვის ოდნავაც არ შეუშლია ხელი ეთიკურ-ზნეობრივი კანონების რთულ ლაბირინთებში გათვითცნობიერებულობის გარკვეულ ღონეს.

თურმე ნუ იტყვით, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ინტენსიური მკურნალობის კურსს გადიოდა მოსკოვში. მარტო დიაგნოზის დადგენას ბარე ექვსი თვე დასჭირვებია, თუ არ მეშლება, ბავშვობიდან ჯანმრთელობა შერყეულს ისეთი უმძიმესი სენი აღმოჩენია, თუ ახლავე რამე არ ეშველა, ავადმყოფს გარდაუვალად განუვითარდება ცეროზი და, როგორც ჰიპოკრატეს ფიცის მმიდევარნი იტყვიან, ლეტალური შედეგიც არ დაყოვნებს.

ენა როგორ მოგიბრუნდება კაცს, თქვა, რომ რასაც ამბობს, ყველაფერი ტყუილია და სიცრუე. მაგრამ რა კარგი იქნებოდა, საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა მანამდე დაეწყო, ვიდრე საგულდაგულო მოწადინებით ბანდიტთა ჯგუფს შექმნიდა და სხვათა, სრულიად უდანაშაულო ადამიანთა, სიცოცხლეს ჩალის ფასად გაიმეტებდა.

თუმცა, ამას ჩვენ ვამბობთ, ბანდიტური ჯგუფი შექმნაო და ყოველად უემოციო, უსულგულო ფაქტები გვიდასტურებენ, თორემ სასამართლოზე რომ ის თავის თავგადასავალს ჰყვებოდა, ნეტარხსენებული იეთიმ-გურჯისა არ იყოს, გული და ხის ჯიგარი უნდა გქონოდა, თვალთაგან მდულარე ცრემლი არ წაგსკდომოდა.

როგორც ჩვენი ავად თუ კარგად განათლებული ჟურნალისტობა იტყვის, მისი ეს გამოსვლაც ძირითადად სწორედ აშნაირ გულისაჩუყებაზე იყო გათვლილი მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე დაზარალებული მხარის ადვოკატებმა და პროკურატურის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, განსასჯელისათვის, რომელიც თითქმის ორ წელიწადს არიღებდა თავს სამართალდამცავ ორგანოებს, აღმკვეთი ღონისძიება განესაზღვრათ.

სწორედ ამის მერე, თქვა, რაც თქვა თამაზ ელიზბარაშვილმა. ამან, ამ ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებაში მხილებულმა, სამედიცინო საბუთები აფრიალა და სამედიცინო ტექნოლოგია დაახვავა, იფიქრებდი, ამის ნახევარი მეცადინეობა პატიოსანი ბიზნესისათვის რომ მოეხმარებინა, მის ბედს, მართლაც რომ, ძაღლი არ დაყეფდა. მეტიც - შეიძლება ნამდვილ პატრიოტადაც ქცეულიყო, რაც ვითომდა მისი ყმაწვილკაცობისდროინდელი ოცნებაა და რამაც თურმე, ფირმა „ელიზი" შეაქნევინა.

- ო, ეს დამსხვრეული ოცნებები! - იტყვი შენ, მკითხველო და გულდაწყვეტილი იკითხავ, მკურნალობა მკურნალობად, მაგრამ როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ 1999 წლის 16 მარტის შემდეგ სასამართლოში გამოცხადება არ შეეძლო?

რა დაგაჯერებს კაცს და თურმე ამდენი ხნის განმავლობაში სასამართლო უწყებები არ მისდიოდა. რაღაც ოცდაათ ფურცელ ქაღალდზე ბეჭედ-ბეჭედ ნაბეჭდი ტექსტი, ალბათ, ბანდიტური ჯგუფის ორგანიზებაში მხილებულ ემანუილ კანტს ... ეგ ... ეგ ... ეგ

სკანვორდი

ჩვილ ბავშვთა ბაღი

სითბოს რაოდენობის ერთეული

გამაგრილებელი სასმელი

მოკრივის საბრძოლო მოედანი

ზოდიაქოს ნიშანი

საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში

პროსპექტი ანუ ...

სოფელი გარდაბანთან

ბოსტნეული

ჯვარის ქვედანაყოფი

აღდგომის წინა დღის ძველი ჩვეულება

ამერიკის სიმებიანი ინსტრუმენტი

ი ტ ს ი რ ა ტ ი გ

პარაზიტი უქნარა

ძველი ხალხური თქმულება

ხის სახელური

კუნძული მალაის არქიპელაგში

თეთრი ყურძნის ჯიში

ებრაელთა სასულიერო პირი

ცეცხლზე გამხმარი სიფრიფანა პური

შინაური ცხოველი

გადასა ხადი, ლალა

ბრძოლა

ცხვრის ჯოგი

თევზის ძვალი

გაზეთ „საქართველო“-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას ავრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (500 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 7,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 24 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ.: 93-20-36, 93-18-41.

ექიმი - კოსმეტოლოგი იზო ჯღამაძე მცენარეული პრეპარატებით მორჩენის 100 პროცენტიანი გარანტიით მკურნალობს შიშებს, ფსორიაზს, ეგზემას, სოკოვან დაავადებებს.
გთავაზობთ სახის გაწმენდას, ამზადებს სახის მკვებავ და მათეთრებელ კრემებს. ასწორებს ნაოჭებს.
მის: მარჯანიშვილი სუნდუკიანის ქ. 11 ტელ: 95-21-25

შევიძენ იაფად უცხოურ, ფერად ტელევიზორს დისტანციური მართვით კარგ მდგომარეობაში
ტ: 93-18-41 მანანა

ვიგირავებ ბინას 1000-1500 დოლარის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ტ: 93-18-41 ელისო

გავასესხებ 1000-1700 დოლარს ერთი წლით 6-7 პროცენტად მყარი გარანტიით - ბინის ჩადებით ქალაქის ხებისმიერ უბანში, შიგ ჩემი ცხოვრების უფლებით
ტ: 66-81-01, 93-18-41 მანანა

ნათია ნანობაშვილს

ნათია მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას, ზღვა სიხარულს და მრავალი აღსაზრდელის დაფრთიანებას.

თქვენი მოსწავლე ეკა კოზოლაშვილი და 176-ე სკოლის II[4] კლასის მოსწავლეები და მშობლები.

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.